გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 62
(11 519)

10 – 13 აგვისტო, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## უეფას თასი
### საკვალიფიკაციო ეტაპი პირველი მატჩი

# ბოლო წუთების სინდრომი

9 აგვისტო. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

**დინამო (თბილისი) — ბატე (ბელარუსი) 2-1**

**დინამო:** გრიშიკაშვილი, სვანაძე, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, სახვაძე, მანწკავა, ბურდული, დარასელია (მიკუჩაძე 78), ბობოხიძე (გ. მიქაძე 89), შავგულიძე.
**ბატე:** ფედოროვიჩი, გონჩარენკო (მოლოხი 75), რაგოტკინი, ლისოვსკი (გონჩარიუკი 71), ბაგა, მარდაში, მირონჩიკი (ბიგანსკი 45), კუტუზოვი, ლაშანკოვი, პანასიუკი, ალიაშკევიჩი.
*გოლები:* 1-0 დარასელია (22 პ.), 2-0 მიკუჩაძე (86), 2-1 გონჩარიუკი (88)
გაფრთხილება: მანწკავა, შავგულიძე, სვანაძე, ლისოვსკი.
*მსაჯი:* მ. ჰელსი (ინგლისი)

იხ. მე-4 გვ.

# ბირკირკარა (მალტა) — ლოკომოტივი (თბილისი) 0-0

**სხვა მატჩები:**

ნეფტჩი (აზერბ.) — გორიცა (სლოვენია) 0-0
პუხოვი (სლოვაკ.) — სლიმა (მალტა) 3-0
რუზომბეროკი (სლოვ.) — ბელშინა (ბელ.) 3-1
პელისტერი (მაკედ.) — სტ. გალენი (შვეიც.) 0-2
დინამო (რუმინეთი) — დინამო (ალბანეთი) 1-0
ბრაშოვი (რუმინეთი) — მიკა (სომხეთი) 5-1
ცსკა (უკრ.) — იოკერიტი (ფინეთი) 2-0
არარატი (სომხ.) — ჰაპოელი (ისრ.) 0-2
პოლონია (პოლონ.) — ლანსანტრეიდი (უელსი) 4-0
ობილიჩი (იუგოს.) — გი გოტუ (ფარერები) 4-0
ნარვა (ესტონ.) — ელფსბორგი (შვედ.) 1-3
ჰიკი (ფინეთი) — ვენტსპილსი (ლატვია) 2-1
ტირანა (ალბან.) — აპოლონი (კვიპროსი) 3-2
დინაბურგი (ლატვია) — ოსიეკი (ხორვ.) 2-1
ატლანტისი (ლიტვა) — რაპიდი (რუმინ.) 0-4
შახტიორი (ბელარ.) — ცსკა (ბულგ.) 1-2
მიდტიულანდი (დანია) — გლენტორანი (ჩრ. ირლანდია) 1-1
ვიკინგი (ნორვეგია) — ბროტნიო (ბოსნია) 1-0
ეტელბრუკი (ლუქსემბ.) — ლეგია (პოლ.) 0-4
მაკაბი (ისრაელი) — ჟალგირისი (ლიტვა) 6-0
მიუპა (ფინ.) — ჰელსინგბორგი (შვე.) 1-3
ოლიმპიაკოსი (კვიპრ.) — დუნაფერი (უნგ.) 2-2
ზიმბრუ (მოლდ.) — გაზიანთეფი (თურქ.) 0-0
ტორსჰავნი (ფარ.) — გრაცერი (ავსტრია) 2-2
ვადუცი (ლიხტენ.) — ვარტექსი (ხორ.) 3-3
ოლიმპია (სლოვ.) — შაფა (აზერბ.) 4-0
ბრიუგე (ბელ.) — აკრანესი (ისლ.) 4-0
ვარდარი (მაკედ.) — სტანდარდი (ბელ.) 0-3
დინამო (ხორ.) — ფლორა (ესტონ.) 1-0
დებრეცენი (უნგრეთი) — ნისტრუ (მოლ.) 3-0
კოსმოსი (სან მარ.) — რაპიდი (ავსტრია) 0-1
ლონგფორდი (ირლ.) — ლოვეჩი (ბულ.) 1-1
ბრონდბიუ (დანია) — შელბერნი (ირლ.) 2-0
ს.კოლომა (ანდორა) — პარტიზანი (იუგოს.) 0-1
აეკი (საბ.) — გრევენმახერი (ლუქს.) 6-0
გლენავონი (ჩრ.ირლ.) — კილმარნოკი (შოტ.) 0-1
ქუიმბრანი (უელსი) — სლოვანი (სლოვ.) 0-4
ფილკირი (ისლან.) — პოგონი (პოლონ.) 2-1
მარიტიმუ (პორტუგ.) — სარაევო (ბოს.) 1-0

# კეტბურთელების სენსაციური გამარჯვებები



კეტბურთმა ჩვენში რომ თამამად შემოაბიჯა და ენთუზიასტთა წყალობით მალე გახდა ანგარიშგასაწევი ძალა, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. საქართველოში ახლა ბევრი მოზარდია გატაცებული სპორტის ამ სახეობით, მათ შორის რჩეულნი კი პოლონეთში ასპარეზობენ მსოფლიო ჩემპიონატის ბავშვთა ლიგის (Little Liga) შესარჩევ ტურნირში, სადაც ფინალური ეტაპის საგზური გათამაშდება ევროპის, აფრიკის და შუა აზიის ქვეყნების წარმომადგენელთათვის.

ჯერ კიდევ ამ ორიოდე წლის წინათ, თბილისში საკონსულტაციოდ ჩამოსული სპეციალისტები ხაზგასმით აღნიშნავდნენ ჩვენი მოზარდების მაღალნიჭიერებას. ახლა კი ქართველმა ჭაბუკებმა ეს საქმით დაამტკიცეს. პოლონეთიდან მიღებული ინფორმაციით შევიტყვეთ, რომ საქართველოს გუნდმა დაუმარცხებლად მიაღწია ფინალამდე, მოუგო რა შეხვედრები პოლონეთის, ხორვატიის, ბელგიის, უკრაინის გუნდებს — ნახევარფინალში გერმანელებს და ახლა გადამწყვეტი პაექრობა 11 აგვისტოს ექნებათ რუსეთის ნაკრებთან.

ფინალური ეტაპი აშშ-ის, იმ ქალაქში გაიმართება, სადაც მსოფლიო ბეისბოლის ფედერაციის შტაბ-ბინაა.

დაწვრილებით „ლელოს“ შემდეგ ნომერში.

# რეიტინგში კონკურენცია დაეცა

ივლისი, წინა თვეებთან შედარებით, უხვმოსავლიანი არ ყოფილა. საერთაშორისო შეჯიბრებებში ყველაზე მეტი მედალი ჩვენს ქვეყანას ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში მონაწილე სპორტსმენებმა მოუტანეს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ძიუდოისტებმა, ამიტომ „ლელოს“ რეიტინგში სპორტის ამ სახეობის ფედერაცია პირველ ადგილზე აღმოჩნდა, მით უფრო, რომ ვერცხლის ერთი მედალი მსოფლიოს ჩემპიონატშიცაა მოპოვებული.




რეიტინგში მესამე ადგილზე მძლეოსნობის ფედერაციაა და გასაგებია, რატომ. საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს მძლეოსანს 13 წელიწადი არ ღირსებია მედალი. ახლა ეს შეძლო ბირთვის მკვრელმა ზურაბ გიგაიამ ესპანეთის ქ. მურსიაში იმავე ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების პროგრამით გამართულ ასპარეზობაში. გიგაიას, როგორც ცნობილია ბრინჯაოს მედალი ხვდა.

როგორც ხედავთ, „ლელოს“ რეიტინგში საქართველოს სპორტული ფედერაციების რიცხვი თანდათან იკლებს და ძალიან ცუდი იქნება, თუ მათი რიცხვი მომავალში არ გაიზრდება.

ქართველმა ბატუტისტებმა, მართალია, ივლის-აგვისტოს დასაწყისში იასპარეზეს მსოფლიო ჩემპიონატში და სასახელოდაც, მაგრამ მედლები აგვისტოში მოიპოვეს და ამიტომ ივლისის რეიტინგში ვერ მოხვდა.

# ტაეკვონ-დოს ქართველ ოსტატთა წარმატება სომხეთში

2



გაზეთის დაბეჭდვის წინ ცნობილი გახდა, რომ შვეიცარიელმა ფაბიერ იოკერმა (სურათზე) ლიდერობა იგდო ხელთ „პორტუგალიის ტურში“ 7 ეტაპის შემდეგ.

## იურგენ კოლერი მიდის

გერმანული ფეხბურთის ლეგენდა იურგენ კოლერმა გუშინ განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონი „ბორუსიაში“ მისთვის ბოლო იქნება. კოლერი უკვე 35 წლისაა და თუმცა დორტმუნდის კლუბი ეპატიჟება, მან საბოლოოდ გადაწყვიტა ფეხბურთს გაანებოს თავი.




ლარს რიდელი (გერმანია)

3

## მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში, ქ. ედმონტონი




ჩარლზ კამატი (კენია)

## ჩემპიონთა ლიგა



ვისლა — ბარსელონა

ამ მატჩში რივალდომ (წინა პლანზე) ჰეთ-თრიკი შეასრულა

5




ბაზელი (შვეიცარია) — ასტონ ვილა (ინგლისი)

## ინტერტოტოს თასი

5



## ვალერი ჩუხრაი სფფ-ს მუშაობით კმაყოფილი დარჩა!

4

*სურათზე:* მერაბ ჟორდანია (მარცხნივ) და ვალერი ჩუხრაი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი დარჩა

SALT LAKE 2002

## ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 186 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

## ოლიმპიურ ტალღაზე

## მოსკოვს კონკურენტები მოუმრავლდა

**თანდათან მოსკოვს 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაში კონკურენტები ემატება და მათი სია „ძლიერი" მეტოქეებით ივსება. ბოლო ხანებში, თავიანთი სერიოზული გადაწყვეტილების შესახებ განაცხადეს, აგრეთვე: ჰავანამ, ლონდონმა და ბერლინმა, სხვათა შორის, გერმანია, როგორც ყველაზე უფრო ხელსაყრელი ქვეყანა, ასეთი მასშტაბით შეჯიბრებისათვის, საგანგებოდ გამოჰყო სოკ-ის ახალმა პრეზიდენტმა, ბელგიელმა როგემ.**

## საუკეთესო სპონსორი ივლისში

ქართულ სპორტს, წლეულს, განვლილ 6 თვეში, ნამდვილად თვალსაჩინო წარმატებები აქვს მოპოვებული, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვნად ალბათ, მაინც ესპანეთის ქალაქ მურსიაში ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში მიღწეული გამარჯვებები უნდა მივიჩნიოთ! შეგახსენებთ, რომ ჩვენი 14 სპორტსმენიდან 6-მა მედალი მოიპოვა, აქედან 4 ოქროსი. ჩოგბურთელთა წყვილმა კი ბრინჯაოს მედალი დათმო იტალიელებთან პაექრობაში. ეს შედეგები განსაკუთრებულია თუნდაც იმიტომ, რომ მიღწეულია იმ ახალგაზრდების მიერ, რომლებმაც ახლო მომავალში უფროსი თაობის სპორტსმენები უნდა შეცვალონ, მათ შორის ოლიმპიურ სარბიელზე.

საბედნიეროდ, დღეს ამ წარმატებებზე სიამაყით ვლაპარაკობთ, მაგრამ



შეიძლებოდა, უსახსრობის გამო, ჩვენები მურსიაში ვერავის ეხილა. მათი გამგზავრება, ფინანსური მხარდაჭერით, უზრუნველჰყო ცნობილმა ქართველმა მეწარმემ და პარლამენტარმა, ქართული სპორტის მრავალგზის შემწემ – გოგი თოფაძემ.

„ლელოს" ტრადიციული გამოკითხვით, ივლისის საუკეთესო სპონსორად სწორედ გოგი თოფაძე დასახელდა.

## გამოხმაურება წერილზე; „ვინ ხარ შენ, ვაზაგაშვილო!.."

ბატონო რედაქტორო!

ნამდვილად გული მატკინა ბატონ გივი ყირმელაშვილის წერილმა, რომელიც „ლელოს" 61-ე ნომერში გამოქვეყნდა. რომ არა თქვენი გაზეთის პოზიცია, რომელსაც სავსებით ვეთანხმები და ვიზიარებ, ჩემი რეაქცია, როგორც პიროვნებისა და სპორტის მუშაკის, გაცილებით მწარე იქნებოდა. გ. ყირმელაშვილის წერილი არ არის არც მამაშვილური შეგონება, არც ჭკუის დარიგება და არც სპორტსმენის შეცდომაზე მითითება (თუ შეცდომად ჩავთვლით, რაც ვაზაგაშვილმა თქვა), არამედ, ეს არის ლანძღვა, რომელიც ეხება არა მარტო სპორტსმენს, არამედ მის პირად ოჯახს და მთლიანად ჩვენს დიდ სპორტულ ოჯახს, რომლის ასე ხელაღებით გინება არ შეშვენის არავის, მით უმეტეს, სპორტში ღვაწლმოსილ ადამიანს.

მე, როგორც მთამსვლელის შვილი და მორაგბის მამა (ჯოკია გუგავა მთამსვლელთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელმაც დიდება მოუტანა ქართულ ალპინიზმს, შვილი – ლექსო გუგავა კი იმ ჭაბუკ მორაგბეების რიგებშია, რომლებმაც ჩილეში მოიპოვეს მსოფლიო თასი). ვერაფრით მოგიწონებთ, (თუნდაც თქვენი ღვაწლის მიუხედავად) ასეთი სალანძღავი წერილის ავტორობას.

ბერდია გუგავა,
*სპორტსა ზოგადოება „შევარდენის" თავმჯდომარე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ძიუდოში.*

ტაეკვონ-დო | კავკასიის ღია პირველობა გლობალ ტაეკვონ-დოში



## ოთხი ხუთი მედლით დაგვიბრუნდა

ამას წინათ, ქ. თბილისის დიღმის მასივის საჭიდაო სპორტკომპლექსში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი გლობალ ტაეკვონ-დოში. მონაწილეობდნენ საქართველოს, ყაზახეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის და ყაბარდო-ბალყარეთის 400-მდე რჩეული სპორტსმენი ორ ასაკობრივ ჯგუფებში (8-18 და 18 წლის ზევით). ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს გლობალ ტაეკვონ-დოს ფედერაცია და აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტი. ღია პირველობის ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ფედერაციის პრეზიდენტს შავი ქამარის (მე-7 დანი) მფლობელს ალექსანდრე გონგაძეს, ვიცე-პრეზიდენტს მიხეილ მდინარაძეს (მე-3 დანი), მთავარ მსაჯს ვიტალი პავლაძეს (მე-3 დანი). საერთაშორისო ტურნირის შედეგებით დაკომპლექტდა ეროვნული ნაკრები, რომელიც მცირე შემადგენლობით გაემგზავრა სომხეთში ქ. გუმრში (ლენინაკანი) კავკასიის ღია პირველობაზე. იქ თავი მოიყარეს ამიერკავკასიის ქვეყნების საუკეთესო სპორტსმენებმა. ჩვენებიდან პროფესიონალთა შორის პირველობა მოიპოვეს მიხეილ მდინარაძემ (71 კგ) და მიხეილ გაზდელიანმა (63), მეორე ადგილი წილად ხვდათ გაგა კენჭოშვილს (54), თეონა გურეშიძეს (55). მიხეილ მდინარაძეს (80). კაპიტანი იყო მიხეილ მდინარაძე.

საქართველოს გლობალ ტაეკვონ-დოს ფედერაცია, ნაკრები გუნდი და ვიცე-პრეზიდენტი მიხეილ მდინარაძე მადლობას უხდიან „სანეტ-ინტერნეტის" გენერალურ დირექტორს გიორგი კაშიას გაწეული დახმარებისათვის.

## ახალი წამალი გადაჭრის სიმსუქნის პრობლემებს

**გახდომის მსურველებს, ახლო მომავალში აღარ ექნებათ საკვების, მათ შორის ტკბილეულის მადის მიხედვით მიღების საშიშროება. მეცნიერები ჰა და ჰა მიუახლოვდნენ ისეთი პრეპარატის აღმოჩენას, რომელიც წინ აღუდგება ორგანიზმში ნახშირწყლების ცხიმად გარდაქმნას. უკვე მიკვლეულია ამ პროცესზე პასუხისმგებელი ცილა და მეცნიერები ტეხასის უნივერსიტეტიდან მზად არიან ჩაატარონ ექსპერიმენტი ცხოველებზე. ზემოხსენებული ცილა თაგვის ღვიძლში აღმოაჩინეს და იგი აქტიურდება მაშინ, როცა საჭიროა ზედმეტი ნახშირწყლების ცხიმად გარდაქმნა. ამ დროს სწრაფად იწყებენ მოქმედებას ამ პროცესში მონაწილე ფერმენტები.**

„მკურნალობის სიახლენი", №7, 10.08.2001 წ.

## სპორტული ტანვარჯიში. ბატუტი | მსოფლიო ჩემპიონატი

# მოზარდებმა ძველი დიდება გაგვახსენეს

ამ დღეებში დანიის ქ. ოდენში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში და სპორტულ აკრობატიკაში, სადაც ქ. თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის სამსახურთან არსებული ტანვარჯიშულ სახეობათა სპორტული სკოლის 4 აღსაზრდელიც მონაწილეობდა. ესენი არიან: 10 წლის გიორგი ექიზაშვილი (აკრობატიკა), თენგიზ კოშკაძე („მართვე"), ლუბა გოლოვინა და სოფიკო გულიაშვილი („მართვე", ბატუტზე ხტომა).

დელეგაციას ხელმძღვანელობდა მარინა თარხნიშვილი. ლუბა გოლოვინამ და სოფიკო გულიაშვილმა შესანიშნავად იასპარეზეს და ვერცხლის მედლები მოიპოვეს, რაც უდავოდ დიდი წარმატებაა. სინქრონულ ხტომებში კი ეს წყვილი



მე-5 იყო. თენგიზ კოშკაძემ ფინალში გააღწია და საბოლოოდ IV ადგილს დასჯერდა.

უნდა აღინიშნოს მწვრთნელების ზაურ სულაშვილისა და ვალერი ჩხაბერიძის შრომის დიდი შედეგი, რომელიც თვალსაჩინოდ გამოჩნდა მსოფლიო ჩემპიონატზე. რაც შეეხება სოფიკო გულიაშვილს, მისი პირველი მწვრთნელი იყო დედა ლია ხრიკული, შემდეგ კი მისი დაოსტატება ზაურ სულაშვილმა განაგრძო.

ჩემპიონატზე მსაჯითაც ვიყავით წარმოდგენილი. ეს უფლება მოიპოვა ტანვარჯიშულ სახეობათა სპორტული სკოლის დირექტორმა, სპორტის დამსახურებულმა მუშაკმა როზა ბერიკაშვილმა, რომელმაც ჩემპიონატის ორგანიზატორთა უმაღლესი შეფასება და მადლობა დაიმსახურა, როგორც კვალიფიციურმა და ობიექტურმა მსაჯმა.

ჩვენმა სპორტსმენებმა გაუსწრეს ისეთ ცნობილ განვითარებულ ქვეყნებს, როგორიცაა გერმანია, ფინეთი, დანია, ლიტვა, ლატვია, ჰოლანდია. ჩემპიონატში სულ 31 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ც. ბაძრაძე



*სურათებზე: როზა ბერიკაშვილი (წინა პლანზე) მსაჯობის დროს; მარჯვენა ფოტოზე, მარცხნიდან: ლიუბა გოლოვინა, ზაურ სულაშვილი, სოფიკო გულიაშვილი; წინა პლანზე თენგიზ კოშკაძე.*

მკურნალობის სიახლენი
№7. 10.VIII - 16.VIII 2001

**დღეს გამოვიდა „ლელოს" ახალი ყოველკვირეული დამატება „მკურნალობის სიახლენი" – მორიგი, მე-7 ნომერი.**

## დოპინგს ვეღარ ებრძვიან

მსოფლიოში ცნობილი ბევრი სპეციალისტის აზრით, დღეს დოპინგკონტროლი აბსოლუტურად არასრულყოფილია. იგი მოძველდა და ათწლეულობით ჩამორჩა თანამედროვე სამედიცინო მეცნიერებას.

ყველაზე უფრო თვალნათლივ ეს ჩანს ახლა ველოსპორტში. ვერავითარი კონტროლი ვერ გაარკვევს ნახევარზე მეტს, რაც ჩაწერილია აკრძალულ პრეპარატთა სიაში. მაშ რატომ შეაქვთ სიაში? მათ გამალებით ეძებენ სპორტსმენთა ორგანიზმში, უხმობენ პოლიციას. თითქოს აღმოაჩენენ კიდეც, მაგრამ კვლავ ჩიხში აღმოჩნდება ყველაფერი. ამას წინათ წერდნენ, რომ „ჯირო დ'იტალიის" რბოლის მონაწილე 50-60 მრბოლს აღმოუჩინეს აკრძალული სუბსტანციები. მაგრამ არაფერი დაწერილა იმის შესახებ, რომ მათგან უმეტესობას ჰქონდა სამედიცინო ცნობები ამ საშუალებათა მიღების ლეგალიზაციაზე.

მაგალითად, აქილევსის მყესის სამკურნალოდ ჰიდროკორტიზონის ინექციას ექიმი ვერ ითავებს, ამის უფლება თუ არა აქვს, სამაგიეროდ, თუ მან წინასწარ გააფორმა ნებართვა, ეს უკვე დოპინგი აღარაა და ყველაფერი ჩაივლის. ზოგჯერ სასაცილომდე მიდის, რომ სურდოს საწინააღმდეგო წვეთები დოპინგი ყოფილა – კოფეინის აბში 25 მილიგრამი სუფთა კოფეინია, და მას დოპინგად სცნობენ. მაგრამ მას, ვისაც სურს, შეუძლია დიდი ფინჯანი სავსე ყავა მიირთვას, რის შედეგადაც 100 მილიგრამ კოფეინს შეიწოვს ორგანიზმი, არავინ გაამტყუნებს დოპინგის მიღებაში.

ხშირად დოპინგკონტროლი ტენდენციურიცაა შედეგების გახმაურებაში. ეს უფრო იმაზეა დამოკიდებული, თუ რა აღმოაჩინეს, შეუძლიათ წერილობით დაკმაყოფილდნენ, ან გაფრთხილებით. ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორი „თევზი მოჰყვება ბადეში". თუ სახელოვან ველომრბოლს დაიჭერენ, წამსვე გაბერავენ. ეს ერთგვარი პოლიტიკაა. ვინც აქტიურად დოპინგს ხმარობს და მის შესახებ არაფერია ცნობილი, უცებ პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებათა ცენტრში აღმოჩნდებიან: ყველასგან მივიწყებული პროკურორი და გამომძიებელი ტელევარსკვლავად იქცევა.

ფეხბურთელებზე ამას ერიდებიან. იტალიურ „კალჩოში" 15 კაცი ამხილეს, მათგან 3-4 საჩვენებელი პროცესით დაკმაყოფილდნენ.

ჰოდა, ვინაიდან ფეხბურთი ხელშეუხებელია, პოპულარობით მეორე ველოსპორტია. ამიტომაც დოპინგის ფაქტები ამ სახეობაში სჭარბობს ყველაზე უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობები ინტერნეტის სამყაროდან

## კანადის ქალაქ ედმონტონში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში

### ტექნიკური შედეგები

**6 აგვისტო**

**ქალები**

***100 მ:*** 1. ჟანა პინტესევიჩი-ბლოკი (უკრაინა) — 10,82; 2. მერიონ ჯონსი (აშშ) — 10,85; 3. ეკატერინა ტანუ (საბერძნეთი) — 10,91

***ჭოკი:*** 1. სტეილი დრაგილა (აშშ) — 4,75; 2. სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) — 4,75; 3. მონიკა პირეკი (პოლონეთი) — 4,55

***შუბი:*** 1. ოსლეიდის მენენდესი (კუბა) — 69,53; 2. მირელა მანიანი — ცელილი (საბერძნეთი) — 65,78; 3. სონია ბისეტი (კუბა) — 64,69.




**ვაჟები**

***400 მ:*** 1. ედვარდ მონკური (ბაგამის კ-ბი) — 44,64; 2. ინგო შულტცი (გერმანია) — 44,87; 3. გრეგორი ხოუტონი (იამაიკა) — 44, 98

***სამხტომი:*** 1. ჯონათან ედვარდსი (ინგლისი) — 17,92; 2. კრისტიან ოლსონი (შვედეთი) — 17,47; 3. იგორ სპასოვხოდსკი (რუსეთი) — 17,44.




**7 აგვისტო**

**ქალები**

***სიგრძე:*** 1. ფიონა მეი (იტალია) — 7,02; 2. ტატიანა კოტოვა (რუსეთი) — 7,01; 3. ნიურკა მონტალვო (ესპანეთი) — 6,88

***1500 მ:*** 1. გაბრიელა საბო (უნგრეთი) — 4.00,57; 2. ვიოლეტა სეკელი (უნგრეთი) — 4.01,70; 3. ნატალია გორელოვა (რუსეთი) — 4.02,40

***400 მ:*** 1. ემი მბაკე ტიამი (სენეგალი) — 49,86; 2. ლორეინი ფენტონი (იამაიკა) — 49,88; 3. ანა გევარა (მექსიკა) — 49,97.

***10000 მ:*** 1. დერარტუ ტულუ (ეთიოპია) — 31.48,81; 2. ბერხანე ადერე (ეთიოპია) — 31. 48,85; 3. გეტე ვამი (ეთიოპია) — 31.49,98.

***ურო:*** 1. იპსი მორენო (კუბა) — 70,65; 2. ოლგა კუზნეცოვა (რუსეთი) — 70,61; 3. ბრონუინ იგლსი (ავსტრალია) — 68,87

**ვაჟები**

***800 მ:*** 1. ანდრე ბუშე (შვეიცარია) — 1.43,70; 2. უილფრედ ბუნგეი (კენია) — 1.44,55; 3. პაველ ჩაპევსკი (პოლონეთი) — 1.44,63.

***ათჭიდი:*** 1. ტომაშ დვორჟაკი (ჩეხეთი) — 8 902 ქულა; 2. ერკი ნოოლი (ესტონეთი) — 8815; 3. დინ მეისი (ინგლისი).







**8 აგვისტო**

**ვაჟები**

***სიმაღლეზე ხტომა:*** 1. მარტინ ბუსი (გერმანია) — 2,36; 2. იაროსლავ რიბაკოვი (რუსეთი) — 2,33; 2. ვიაჩესლავ ვორონინი (რუსეთი) — 2,33.

***ბადრო:*** 1. ლარს რიდელი (გერმანია) — 69,72; 2. ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა) — 69,40; 3. მიხაელ მოლენბეკი (გერმანია) — 67,61.

***3000 მ წინაღობებით:*** 1. რუბენ კოსგეი (კენია) — 8.15,16; 2. ალი ეზინი (მაროკო) — 8.16,21; 3. ბერნარდ ბარმასაი (კენია) — 8.16,59.

***10000 მ:*** 1. ჩარლზ კამატი (კენია) — 27.53,25; 2. ასეფა მეზგებუ (ეთიოპია) — 27.53,97; 3. ჰაილე გებრესელასიე (ეთიოპია) — 27.54,41.

**ქალები**

***400 მ. თარჯრბენი:*** 1. ნეჟა ბიდუანე (მაროკო) — 53,54; 2. იულია ნოსოვა (რუსეთი) — 54,27; 3. დაიმი პერნია (კუბა) — 54,51.




ვაჟთა შორის 400 მეტრზე რბენაში გამარჯვება წილად ხვდა ევარდ მონკურს (№66)




ვაჟთა 800 მეტრზე გამარჯვებული ანდრე ბუშე




ამ გამარჯვებით ჩეხმა ტომაშ დვორჟაკმა (ფოტოზე შუაში) იგი ზედიზედ მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა.



ქალთა შორის ჭოკით ხტომაში გამარჯვებული სტეილი დრაგილა




ქალთა შორის 400 მეტრზე გამარჯვებული ემი მბაკე ტიამი

## რახმან-ლუისის შეხვედრა ნოემბერში გაიმართება



მსოფლიო ჩემპიონი WBC და IBF ვერსიებით ხასიმ რახმანმა თანხმობა განაცხადა მატჩ-რევანში შეხვდეს ინგლისელ ლენოკს ლიუისს. როგორც ცნობილია მათი პირველი ბრძოლა გაიმართა 22 აპრილს და დამთავრდა რახმანის (სურათზე) სენსაციური გამარჯვებით. ამ ბრძოლაში ლუისმა მიიღო 7 მილიონი დოლარი, ხოლო რახმანმა მილიონ ნახევარი.

მატჩ-რევანში ჩატარდება 10 ან 17 ნოემბერს.



## 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მოსკოვი უმასპინძლებს

ეს გუშინ გახდა ცნობილი. ჩემპიონატი 19-22 სექტემბერს ჩატარდება რუსეთის დედაქალაქში, რის შესახებ გადაწყვეტილება ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) მიიღო რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის წარდგინებით. გაცილებით ადრე ფილამ რუსეთის ჭიდაობის ფედერაციას უფლება მისცა უმასპინძლოს მსოფლიო ფორუმ-2002-ს.

### ფორმულა-1

## ალეზიმ და ფრენტცენმა ადგილები შემთხვევით გაცვალეს




გერმანელი პილოტი 34 წლის ხანც ფრენტცენი, რომელიც 2 კვირის წინ სენსაციურად დაითხოვეს „ჯორდანიდან", დიდხანს არ დარჩენილა უმუშევარი. გუშინ მან ხელი მოაწერა ახალ კონტრაქტს და ჩემპიონატის ბოლომდე დაიცავს ფრანგთა ღირსებას „პროსტის" საჭინიბოდან. იმავდროულად „პროსტის" პილოტი ჟან ალეზი (სურათზე) ირლანდიის „ჯორდანის" გუნდში გადავიდა. ორივე მრბოლი სულ მალე გამოვა სტარტზე, კერძოდ, 17-19 აგვისტოს გრან-პრის ასპარეზობაში ჩაერთვებიან უნგრეთში. „პროსტი", ალეზის შენარჩუნებას ყოველნაირად ცდილობდა, მაგრამ ამას წინათ, თავისი მენეჯერის პირით აუწყეს, რომ აღარ სურდა ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონის გუნდში ასპარეზობა. „პროსტთან" კომფლიქტის პარალელურად ალეზი მოლაპარაკებას ეწეოდა „ჯორდანთან", იქიდან კი ის იყო ფრენტცენიც წავიდა და ნებსით თუ უნებლიედ, როგორც მოჭადრაკეები იტყვიან მხედრით სვლა გამოვიდა.

## თურქეთსაც სურს მიიღოს

თურქეთის საავტომობილო სპორტის ფედერაციამ დაბეჯითებით დაადასტურა სურვილი უმასპინძლოს ფორმულა — 1-ის ეტაპს ამ ქვეყნის ტერიტორიაზე. ცნობილი გახდა, რომ FLA-სა და თურქებს შორის ინტენსიური მოლაპარაკება მიმდინარეობს ამ პროექტის თაობაზე. პარალელურად თურქეთის ფედერაცია ინტენსიურად ეძიებს სპონსორებს, რომლებიც გაიღებენ 60 მილიონიან ინვესტიციას, რაც ახალი ტრასებისა და შეჯიბრების ჩატარებისთვისაა საჭირო.

პროექტის თურქი ავტორები თვლიან, რომ ფორმულა-1, უდიდეს ეკონომიკურ სარგებლობას მოუტანს ქვეყანას. მასპინძლობას თავგამოდებით მოითხოვს სტამბული.

# ჩუხრი კმაყოფილია

## ფეხბურთის ფედერაცია მიზანდასახულად მუშაობს

საქართველოში სტუმრობდა ფიფას პროგრამა „გოლის“ მოსკოვის ოფისის ხელმძღვანელი *ვალერი ჩუხრა*, რომელიც კონკრეტული მიზნით იყო თბილისში. იგი გაეცნო სფფ-ს მიერ ფიფაში წარდგენილ პროექტებს, საქართველოს ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელი ბაზისა და სფფ-ს ოფისის მშენებლობის მიმდინარეობას და გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, მასმედიას თავისი მოსაზრებები და შეხედულებები გააცნო საქართველოში ფეხბურთის განვითარებისა და მისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების თაობაზე.

— „ფიფას ბროგრამა „გოლი“ პრეზიდენტ იოზეფ ბლატერის უშუალო ინიციატივით დაფუძნდა, დაახლოებით ორი წლის წინ.

მსოფლიოში ფუნქციონირებს პროგრამა „გოლის“ 10 წარმომადგენლობა. ერთ-ერთი მოსკოვშია და კურირებს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. მისი მხრიდან ფედერაციების დაფინანსება კონკრეტული საქმიანობისთვის, მიზნობრივი მიმართულებით ხორციელდება, ჩვენი მოვალეობაა ვაკონტროლოთ გამოყოფილი თანხების ხარჯვის პირდაპირი სპექტრი და შევამოწმოთ პროექტების ხარისხიც. დღეს პროგრამა „გოლის“ განხორციელებაში ჩართულია ასამდე ქვეყანა, ცამეტი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, მათ შორის საქართველო“.

სტუმარს არ დაუმალავს და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ერთ-ერთი საუკეთესო და მოწინავეა პროგრამა „გოლის“ მიზნობრივად განხორციელებაში.

— „სფფ-ს მუშაობის რეალური გეგმები აქვს, როგორც დღევანდელი ისე სამომავლო. ვნახე და გავეცანი ყველა მშენებარე ობიექტს, მშენებლობების მიმდინარეობას, პროექტებს და შემიძლია განვაცხადო: სფფ-ს ხელმძღვანელთა მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. შესანიშნავი ადგილია შერჩეული ნაკრების საწვრთნელი ბაზის მშენებლობისთვის. ახალი ოფისი და მისი მყუდრო გარემო, სფფ-ს მუშაობას უფრო მშვიდს და მოწესრიგებულს გახდის. მუშაობის ტემპების მიხედვით, სანაკრებო ბაზა დაახლოებით 12-14 თვეში აშენდება, შეიძლება უფრო ადრეც. 90-95 პროცენტით ყველა დოკუმენტი მზადაა და ოქტომბერში პროგრამა „გოლის“ ბიუროს სხდომაზე, რომლის ერთ-ერთი მრჩეველი მიშელ პლატინი გახლავთ, ოფიციალურად დამტკიცდება სფფ-ს სასწავლო-საწვრთნელი სანაკრებო ბაზის დოკუმენტაცია და სფფ-ს მიზნობრივად გადაერიცხება 400.000 აშშ დოლარი“.

ვალერი ჩუხრის განმარტებით, პროგრამა „გოლს“ თავისი გარკვეული ჩარჩო გააჩნია და მისი მუშაობა ხუთი პუნქტით შემოიფარგლება. ესენია: სათამაშო მინდვრების, საწვრთნელი ბაზების, ახალგაზრდა ფეხბურთელებისათვის სასწავლო ცენტრების, ოფისების მშენებლობა და სხვადასხვა კონკრეტული საქმე.

ფიფას ოფიციალური პირის მიუკერძოებელი განაცხადი ფეხბურთის ფედერაციის მიზანდასახული, სწორი მიმართულებით მუშაობის შესახებ კიდევ ერთხელ ადასტურებს სფფ-ს საერთაშორისო ავტორიტეტს მსოფლიო ფეხბურთში.

**საბა ლომინაძე**

# გრიგოლ გაგუა



მძიმე დანაკლისი განიცადა ქართულმა ფეხბურთმა. სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ფეხბურთელის გრიგოლ გაგუას გარდაცვალებით ქართული ფეხბურთის ძველი თაობის კიდევ ერთი დიდი ეპოქა დასრულდა. შესანიშნავი, ქართული ფეხბურთის მესაძირკვლეთა თაობის ერთ-ერთი ჩინებული წარმომადგენელი გრიგოლ გაგუა, ფოთში დაიბადა 1915 წელს. ქალაქში, სადაც საფუძველი ჩაეყარა ქართულ ფეხბურთს და შეუძლებელი იყო იქ ფეხადგმულ ყმაწვილს, ფეხბურთი არ ჰყვარებოდა და არ გაეთავისებინა. 14 წლის მანძილზე (1936-50) ერთგულად, ჩვეული შემართებით იცავდა თბილისის „დინამოს“ ღირსებას. 1939, 1940 წლებში მოიპოვა სსრკ-ის ჩემპიონატის ვერცხლის, 1946, 1947 წლების ბრინჯაოს მედლები. იგი იმ შესანიშნავი თაობის ფეხბურთელთა წარმომადგენელი და ვარსკვლავთა პარტნიორი, „დინამოს“ არაერთ აღსანიშნავ გამარჯვებათა თანამონაწილე იყო. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, გრიგოლ გაგუა სამწვრთნელო ასპარეზზეა. ფეხბურთის უბადლო მცოდნემ, ალღოიანმა სპეციალისტმა, შესანიშნავი) დაუვიწყარი ფეხბურთელების მთელი პლეადა აღუზარდა ქართულ ფეხბურთს.

ამიერიდან მის მეგობრებს, ახლობლებს, მოწაფეებს, კოლეგებს, მოგონებად დაგვრჩება მისი გამორჩეული პიროვნული თვისებები, სითბო და ცოდნა, რასაც ასე უანგაროდ უწილადებდა ყველას.

ისღა დაგვრჩენია, პატივი მივაგოთ სპორტის დამსახურებული ოსტატის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, შესანიშნავი საფეხბურთო სკოლის „ნორჩი დინამოელის“ დამაარსებლის ნათელ ხსოვნას. სითბოთი და სიყვარულით მოვიგონოთ მისი საშვილიშვილო საქმეები, მოვიგონოთ პიროვნება, რომლის ცხოვრებამ და მოღვაწეობამ ნათელი კვალი დაამჩნია ქართულ სპორტს, ქართულ ფეხბურთს.

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი**
**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი**
**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია**
**საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“**
**ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი**
**ფეხბურთის მუშაკთა პროფესიული კავშირი**

# გრიგოლ გაგუას ოჯახს

ქართულ ფეხბურთს კიდევ ერთი ლეგენდა გამოაკლდა... გრიგოლ გაგუას გარდაცვალებამ დიდად მატკინა გული და თვალწინ წარმომიდგა მუდამ შემართული, მოძრავი და ჭარმაგი ბერიკაცი. ორი წლის წინ, აჭარაში სტუმრობისას, გულმა არ მომითმინა და ქობულეთში შევიარე ბატონი გრიგოლის სახლში. როგორც ყოველთვის, მხნედ დაგვხვდა. სახელდახელო სუფრა გაშალა და ჩვეული მჭევრმეტყველობით დაგვილოცა გზა. სამწუხაროდ, დრო ულმობლად მიიწევს წინ...

გრიგოლ გაგუას ცხოვრება ფეხბურთზე თავგადადებული ქართველი კაცის ნათელი მაგალითია. მთელი ცხოვრება ფეხბურთით სულდგმულობდა და ფეხბურთელადვე აღესრულა. მისი დამსახურება ქართული ფეხბურთის წინაშე განუზომელია. იგი თბილისის „დინამოს“ მესაძირკვლე იყო. მინდორზე დაუზარელმა და გამრჯემ, არც 15-წლიანი საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ უგანა საყვარელ საქმეს და „ნორჩი დინამოელის“ საფეხბურთო სკოლა ჩამოაყალიბა, რომელიც დღეს ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. განუზომელია ამ სკოლის დამსახურება ქართული ფეხბურთის წინაშე.

ჩემს ოჯახსა და მეგობრებთან ერთად, მიგულეთ თქვენი ჭირის თანამოზიარედ და ბატონი გრიგოლის უმცროს მეგობრად, რომლებსაც არასოდეს დაგვავიწყდება ქართულ ფეხბურთში ბოლომდე დახარჯული გრიგოლ გაგუა.

**მ. ჟორდანია, სფფ-ს პრეზიდენტი**

# სანაკრებო ლაშქრობანი

აგრძელებენ მოსამზადებელ ეტაპებს ქართული ნაკრები გუნდები. ამ მხრივ აგვისტო საკმაოდ გადატვირთულია. ერთბაშად სამი ნაკრები გაემგზავრება უცხოეთში საწვრთნელი თუ ოფიციალური მატჩის ჩასატარებლად. 15 აგვისტოს ჩვენი ეროვნული გუნდი ალექსანდრე ჩივაძის თავკაცობით ამხანაგურ პაექრობას გაუმართავს ლუქსემბურგში ადგილობრივ ეროვნულ ნაკრებს.

17 წლამდელთა კობა ჟორჟიკაშვილის ნაკრები ლიტვაშია, 12 აგვისტოდან თანატოლთა საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება პალანგაში.

19 წლამდელი გელა გომელაურის შეგირდები ირანს ეწვევიან და 15-17 აგვისტოს ოთხთა ტურნირში ითამაშებენ. საქართველოს ნაკრების გარდა, აქ მონაწილეობენ აზერბაიჯანის, თავრიზისა და მასპინძელთა გუნდები.



**საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

III ტურის ანონსი

# მესამე შინაურული

ევროპული სათასო ბატალიებით გაჯერებული დღეების შემდეგ, კვლავ შინაურ პირველობას დავუბრუნდეთ. უმაღლესი ლიგის მესამე ტურში საყურადღებო რამდენიმე მატჩია. სატურნირო ცხრილის სიმჭიდროვიდან გამომდინარე, საინტერესო პაექრობები უნდა ვიხილოთ ფოთში, რუსთავსა და ბათუმში. „კოლხეთი“ „ლოკომოტივს“ ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებს და შანსი აქვს ქულებითაც დაწინაურდეს. იგივე ვითარებაა „გორდასა“ და „მერანს“ შორის. მერანელები გაშვებული ბურთების ნაკლებობის გამო არიან წინ. ორი „დინამოს“ მატჩების ავ-კარგიანობაზე ლაპარაკი, ხომ ზედმეტია. რა მდგომარეობაც უნდა ჰქონდეთ ბათუმურ და თბილისურ კლუბებს, ძველ ტრადიციულ მეტოქეთა ჭიდილი, მუდამ მიმზიდველი და ინტრიგის მომცველია.

პირველ გასვლით შეხვედრას ჩაატარებს „ტორპედო“. ჩემპიონი „გურიას“ ესტუმრება და იმასაც შევიტყობთ რა შეუძლია ლიდერს მშობლიური სტადიონის გარეთ. „მეტალურგი“ — „ვიტჯორჯიასა“ და „სიონი“ — „სამგურალის“ მატჩებმა საფუძვლიანად შეიძლება შეცვალოს აუტსაიდერთა მდგომარეობა.

მოვითმინოთ ორი დღე და კვირას საღამოს თვალი ვადევნოთ მესამე ტურს.

**12 აგვისტო**

კოლხეთი 1913 — ლოკომოტივი
გურია — ტორპედო
სიონი — სამგურალი
გორდა — მერანი
დინამო (ბთ) — დინამო (თბ)
მეტალურგი — ვიტ ჯორჯია

**უმაღლესი ლიგა. II ტური**

| | თ. | მ | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| მერანი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| დინამო (ბთ) | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| დინამო (თბ) | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| გორდა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| კოლხ.1913 | 2 | 1 | 0 | 1 | 6-3 | 3 |
| ლოკომოტ. | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| სამგურალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-7 | 3 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| გურია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| მეტალურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |
| სიონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპი პირველი მატჩი

# ბოლო წუთების სინდრომი

*(პირველი გვერდიდან)*

მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე „დინამომ“ მკვეთრად იცვალა სახე და ეს ახალგაზრდული გუნდი სასიკეთოდ გარდაიქმნა, რაც უპირველესად, შემართულ, მიზანდასახულ შეტევაზე აქცენტირებულ თამაშში გამოიხატა. გივი ნოდიას ჩანაფიქრმა, აშკარად გაამართლა. ძირითადში გამოსულმა შავგულიძემ და მანწკავამ მასპინძელთა იერიშებს სიმწვავე შემატა. ჩვენს სტუმრებს თანდათან ნერვიულობა დაეტყოთ. მათ დაცვას სულ უფრო უჭირდა „დინამოს“ შეტევების მოგერიება. ეგ არის მხოლოდ, მასპინძლები დასკვნით ფაზაში უზუსტოდ ირჯებოდნენ და ცოტა მეტი ყურადღება რომ გამოეჩინათ, ანგარიში გაცილებით დიდი იქნებოდა ჩვენების სასარგებლოდ. თუმცა, ყოველივე ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „ბატე“ მეტოქის საჯარიმოსკენ არ იყურებოდა. რამდენჯერმე მათაც მწვავედ შემოგვიტიეს.

22-ე წუთზე გაიბრწყინა ვიტალი დარასელიამ, მისი სოლო გარღვევა პენალტით დასრულდა, საჯარიმო თავად დაზარალებულმა უზადოდ შეასრულა. მეორე ტაიმში თამაშის სურათი არ შეცვლილა. უპირატესობა ისევ მასპინძლებს ჰქონდათ, ისინი ფლანგებიდანაც უტევდნენ და ხშირად ურტყამდნენ შორი და საშუალო მანძილებიდან. ბელარუსები კი ძირითადად კონტრიერიშის იმედად იყვნენ. მატჩის მიწურულს ვითარება დაიძაბა. 86-ე წუთზე მიკუჩაძე სწრაფად გაერკვა „ბატეს“ საჯარიმოში შექმნილ ვითარებაში და ახლო მანძილიდან ფედოროვიჩს აუღებელი დაურტყა. 2-0 ჩინებული ანგარიში იყო, მაგრამ სწორედ აქ იჩინა თავი ბოლო წუთების სინდრომმა. „დინამომ“ ორბურთიანი უპირატესობა ისევ ვერ შეინარჩუნა და თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე დასანანი გოლი გაუშვა, რითაც შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსები საკმაოდ გააბუნდოვნა. „ბატეს“ ნაქებმა თავდამსხმელმა ვიტალი კუტუზოვმა, რომელიც თითქმის მთელი მატჩი ჩრდილში იყო, თავისი მაინც მოახერხა. საჯარიმოში მის ჩაწოდებულ ბურთს ყველაზე ადრე გონჩარიუკი მისწვდა და სტუმრებისთვის იმედის მიმცემი ანგარიში გამოიხატა ტაბლოზე.

პესიმიზმის საბაბი „დინამოს“, ვფიქრობთ, არ აქვს, გუნდს შეუძლია დასძლიოს ბელარუსთა ბარიერი. მიუხედავად ზოგიერთი ხარვეზისა, მათ თამაშში პროგრესი შესამჩნევია. ყველაფერი კი, მაინც, ორი კვირის შემდეგ, ბორისოვოში გადაწყდება.

**მიხეილ საბახტარიშვილი**

# დიდი ტურნირი დაღუპულთა მოსახსენიებლად

სრფ ფედერაციამ ჩაატარა მინი-ფეხბურთში აფხაზეთში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მეორე ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის უშიშროების სამინისტროს გუნდი „ორბი“, აფხაზეთის პროკურატურის გუნდი „მერცხალი“, აფხაზეთის შსს ზუგდიდში დისლოცირებული შტაბის გუნდი „იმედი“, გალის რაიონის გუნდი „ალიონი“, „ორდუ“, „სამურზაყანო“ და „პატრიოტი“. ზუგდიდის გასამხედროებულ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რაზმის გუნდი „ართო“, ხობის რაიონის გუნდი „სატურნი“. უკონკურსოდ გამოდიოდა ზუგდიდის რაიონის სოფ. ახალსოფლის „ბობოქარი“. გუნდები დაიყო ორ ქვეჯგუფად და მატჩები ჩატარდა წრიული სისტემით. ნახევარფინალში მატჩები ასე დამთავრდა: „ორბი“ – „სატურნი“ 2-1, „ართო“ – „იმედი“ 9-0.

III-IV ადგილებისთვის „სატურნის“ გუნდმა (მწვ. კ. ახვლედიანი) 2-0 დაამარცხა „იმედი“ (მწვ. გ. მამფორია), ხოლო ფინალში კი „ართომ“ (მწვ. ე. აკობია) 5-0 მოუგო „ორბს“ (მწვ. დ. ჯანაშია). ტურნირის დამთავრების შემდეგ სრფფ-ის პრეზიდენტმა გელა ინალიშვილმა „ართოს“ (უფროსი თამაზ უბილავა) გუნდს გადასცა თასი, რომელიც დააწესა სრფფ-ამ. ინდივიდუალური პრიზები გადაეცათ: მამუკა ანთიას სახელობის პრიზი – მეკარე ფ. შენგელიას („სატურნი“), ირაკლი ქოიავას სახელობის – მცველ თ. ქარდავას („პატრიოტი“), თენგიზ კაკუბავას პრიზი – ნახევარმცველ ვ. შურღაიას („ართო“), გურამ გაბისკირიას სახელობის პრიზი – თავდამსხმელ თ. დგებუაძეს („ართო“). ლაშა კვარაცხელიას სახელობის პრიზი – საუკეთესო მოთამაშეს კ. კვარაცხელიას („ორბი“), ჟიული შარტავას სახელობის პრიზი, რვა გატანილი გოლით მოიპოვა „ორბის“ მოთამაშემ დ. ჯანაშიამ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატის მიერ დაწესებული პრიზი ყველაზე ტექნიკური მოთამაშისა გადაეცა თ. აქუბარდიას („იმედი“).

**ბელა ნაჭყებია,**
**„ლელოს“ კორესპონდენტი სამეგრელოს რეგიონში**

# ჩემპიონთა ლიგა — III საკვალიფიკაციო ეტაპი

***შახტარი (უკრაინა) — ბორუსია (დორტმუნდი) 0-2***
რიკენი (34), ოლისე (73)
***ლოკომოტივი (რუსეთი) — ტიროლი (ავსტრია) 3-1***
1-0 ლეკხეტო (2), 1-1 კირხლერი (19), 2-1 იზმაილოვი (37). 3-1 იგნაშევიჩი (79).
***პორტუ (პორტუგალია) — გრასჰოპერი (შვეიცარია) 2-2***
1-0 პარედესი (7), 1-1 ნუნიესი (50), 1-2 პეტრიჩი (56), 2-2 პოსტიგა (59)
***ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ბაიერი (ლევერკუზენი) 0-0***
***აიაქსი (ჰოლანდია) — სელტიკი (შოტლანდია) 1-3***
0-1 პეტა (7), 0-2 აგატი (20), 1-2 არველაძე (40), 1-3 სატონი (55)


შახტარი — ბორუსია (დორტმ)

***რეინჯერსი (შოტლანდია) — ფენერბახჩე (თურქეთი) 0-0***
***ჰაიდუკი (ხორვატია) — მალიორკა (ესპანეთი) 1-0***
ბალიჩი (20)
***პარმა (იტალია) — ლილი (საფრანგეთი) 0-2***
ლანდრინი (46), ეკერი (80)
***სლავია (ჩეხეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 1-2***
0-1 ლიბეროპულოსი (26), 0-2 კარაგუნისი (56), 1-2 კუკა (69)
***სტიაუა (რუმინეთი) — დინამო (კიევი) 2-4***
0-1 ბელკევიჩი (8 პენ), 0-2 ბელკევიჩი (27), 1-2 ტრიკა (30), 1-3 იდახორი (43), 2-3 ტრიკა (53), 2-4 მელაშენკო (64)
***ჰაკა (ფინეთი) — ლივერპული (ინგლისი) 0-5***
ჰესკი (32), ოუენი (56,66), ჰიუპია (87), ოუენი (88).
***ჰალმშტადი (შვედეთი) — ანდერლეჰტო (ბელგია) 2-3***
1-0 სვენსონი (12), 1-1 სეოლი (56), 1-2 არუნა (67), 2-2 სელაკოვიჩი (74), 2-3 მორნარი (84).
***გალათასარაი (თურქეთი) — ლევსკი (ბულგარეთი) 2-1***
1-0 იუმითი კარანი (9), 2-0 იუმითი დავალა (74), 2-1 ივანოვი (78)
***ინტერი (სლოვაკეთი) — რუსენბორგი (ნორვეგია) 3-3***
0-1 ბრატბაკი (8), 1-1 ლემბაკოალი (50), 2-1 ლემბაკოალი (63), 3-1 დრობნიაკი (68), 2-3 სკამელსრუდი (78 პენ), 3-3 კუნზო (88 საკ. კარში)
***კოპენჰაგენი (დანია) — ლაციო (იტალია) 2-1***
0-1 კრესპო (56), 1-1 ლაურსენი (73 პენ), 2-1 ფერნანდესი (85)
***ვისლა (პოლონეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) 3-4***
1-0 პატერი (21), 1-1 რივალდო (29 პენ), 2-1 პატერი (30), 2-2 რივალდო (32), 3-2 ფრანკოვსკი (38), 3-3 კლუივერტი (54), 3-4 რივალდო (71).


პორტუ — გრასჰოპერი


აიაქსი — სელტიკი


ლოკომოტივი — ტიროლი

# ხორვატია შემადგენლობას ასახელებს

ხორვატიის ნაკრების მწვრთნელმა მირკო იოზიჩმა დაასახელა იმ 20 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ 15 აგვისტოს ამხანაგურ შეხვედრაში ირლანდიის ნაკრებთან. მატჩი გაიმართება დუბლინში.
***მეკარეები:*** სტიპე პლეტიკოშა, ტომისლავ ბუტინა.
***მცველები:*** იგორ ტუდორი, ნიკო კოვაჩი, დარიო შიმიჩი, დანიელ სარიჩი, ზვონიმირ სოლდო, სტეპან ტომასი, რობერტ იარნი.
***ნახევარმცველები:*** ბორის ჟივკოვიჩი, რობერტ კოვაჩი, იგორ ბისკანი, ნენად ბელიცა, მილან რაპაიჩი, რობერტ პროსინეჩკი, მარიო სტანიჩი.
***თავდამსხმელები:*** დავორ შუკერი, ალენ ბოქშიჩი, დავარ ვუგრინეცი, ბოშკო ბალაბანი.

## რეინამ „ბორუსიასთან“ კონტრაქტი გააგრძელა

დორტმუნდის „ბორუსიასთან“ ჯუზეპე რეინამ კვლავ გააგრძელა კონტრაქტი — 2005 წლამდე. 29 წლის რეინა დორტმუნდში გადავიდა 1999 წელს ბილეფილდის „არმინიადან“, ბუნდესლიგაში ჩაატარა 123 შეხვედრა და გაიტანა 26 ბურთი.





## „ბენფიკას“ ყოფილი პრეზიდენტი დააპატიმრეს

საფეხბურთო კლუბ „ბენფიკას“ ყოფილი პრეზიდენტი ჟოაო ვალე აზევედუ (სურათზე) დააპატიმრეს. პროკურატურამ იგი ამხილა რუსი მეკარის სერგეი ოვჩინიკოვის გაყიდვიდან ფულის მითვისებაში. გამოძიების ვერსიით ყოფილმა პრეზიდენტმა დაახლოებით 2,5 მილიონი ევრო მიითვისა. თუ ეს ბრალდება დაუმტკიცდა აზევედუს, მას ემუქრება 14-წლიანი ციხე.

## ამხანაგური მატჩი

***ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — სელტა (ესპანეთი) 4-3***
1-0 ჯორკევიჩი (5 პენ), 2-0 ჯოვანი (31), 2-1 ლოპესი (35 პენ),
2-2 მოსტოვოი (41), 2-3 ბობანი (65), 3-3 ალვესი (83) .
4-3 ცორცოპულოსი (90).

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „სამპდორიას“ გასაჭირი

**ოდესღაც მეტად ძლიერი „სამპდორია“, რომელიც 1989 წელს თასების თასის ფინალში თამაშობდა, 1990 წელს ამ ჯილდოს მფლობელი გახდა, 1991 წელს — იტალიის ჩემპიონი, ხოლო 1992 წელს — ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი. შემდეგ ისე ცუდად დაიწყო თამაში, რომ იტალიის „სერია A“-საც გამოეთხოვა.**

**ახლა იგი „სერია B“-ს საკმაოდ უფერული გუნდია, მაგრამ შეიძლება ეს ლიგაც დაატოვებინონ, თუკი დიდი დავალიანება არ დაფარა.**

## ბულგარეთის ჩემპიონატი ახლებურად ტარდება

ბულგარეთის ჩემპიონატი სრულიად შეცვლილი სისტემით ტარდება. კლუბების რიცხვი უმაღლეს დივიზიონში იგივე დარჩა, მაგრამ პირველობა ორ ეტაპად ტარდება.

პირველი ეტაპის 14 მონაწილე ორ წრედ ითამაშებს. იგი აგვისტოში იწყება და მარტში დასრულდება. მისი შედეგების თანახმად კლუბები ორ ჯგუფში განაწილდებიან: 1-6 ადგილებზე გასულები ჩემპიონობისათვის ითამაშებენ, ყველა დანარჩენი კი, უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძოლებს. ბულგარეთის ფეხბურთელთა კავშირი განიხილავდა კიდევ ერთ ვარიანტს: გუნდების ორ ჯგუფში შვიდ-შვიდად დაყოფას, მაგრამ ამას მხარდამჭერები არ გამოუჩნდა.

## სალვა არ დათანხმდება

„ვალენსია“, რომელმაც რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაკარგა, მათი შემცვლელების გამონახვას ცდილობს. იგი მადრიდის „ატლეტიკოს“ 11 მილიონ დოლარს სთავაზობს ცნობილ სნაიპერ სალვას სანაცვლოდ. ამასთან, იმასაც აღნიშნავენ, რომ სალვამ მადრიდის „ატლეტიკო“ მაშინაც კი არ დატოვა, როცა ეს ცნობილი კლუბი იძულებული გახდა მეორე ლიგაში გადაბარგებულიყო, თუმცა მიწვევა ჰქონდა რამდენიმე იტალიური და ესპანური გუნდიდან და ამას ახლაც არ გააკეთებს.

ამავე დროს „ვალენსიას“ იმის იმედიც აქვს, რომ შეიძლება წარმატებით დასრულდეს მოლაპარაკება ტურინის „იუვენტუსთან“ დარკო კოვაჩევიჩის ესპანეთში დაბრუნების შესახებ.

## ვინ ყოფილა ეს ო'ლირი

**„ლიდს იუნაიტედის“ მწვრთნელი დევიდ ო'ლირი რომ საუკეთესო სპეციალისტია, ამაზე ვინ დავობს. ამასთან, იგი ფუფუნებით ცხოვრების დიდი მოყვარულიც აღმოჩნდა: ლიდსში სახლი იყიდა, რომელიც ერთი მილიონ 350 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. აქ 5 საძინებელი ოთახია, აუზი, საუნა, სამი გარაჟი, სპეციალური ოთახი სტუმრების მისაღებად. ო'ლირი ლიდსში ისე კარგად მოეწყო, რომ რომელიმე სხვა ქალაქში გადაბარგებას სულაც არ აპირებს. სპორტული წარმატებებიც ხომ კარგი აქვს...**

## ბაროში «ლივერპულში»

ინგლისის „ლივერპულმა“ შეიძინა ჩეხეთის ნაკრების ნახევარმცველი მილან ბაროში 3,2 მილიონ ფუნტ სტერლინგად (4,5 მილიონი დოლარი). 19 წლის ბაროში, რომელიც ითვლება ჩეხეთის ამომავალ ვარსკვლავად, თამაშობდა ოსტრავის „ბანიკში“. მან „ლივერპულთან“ მოაწერა ხუთწლიან კონტრაქტს ხელი. სანამ ბაროში მიიღებს ინგლისში სამუშაო ვიზას, იგი გააგრძელებს თავის კლუბში გამოსვლას.


ბაროში

## ლუსიო დიდი ოსტატია

ლევერკუზენის „ბაიერის“ 23 წლის ბრაზილიელი მცველი ლუსიო, რომლის სრული სახელი და გვარია ლიუსიმარ და სილვა ფერეირა, გერმანიის ჩემპიონატის მატჩებს ბრწყინვალედ ატარებს.

საინტერესოა, რომ მას მარჯვენა ფეხის სერიოზული ტრავმა ჰქონდა, მხოლოდ მსუბუქი დატვირთვით ვარჯიშობდა (დარბოდა) და მხოლოდ ჩემპიონატის დაწყების წინ გამომჯობინდა. „ვოლფსბურგთან“ შეხვედრაში მწვრთნელ ტოპმიულერს მისი შეცვლაც კი უნდოდა, მაგრამ ბრაზილიელი მინდორზე დარჩა და ორი გოლიც გაიტანა. „ამის შემდეგ ტკივილი ერთბაშად გამიქრა“, — თქვა ლუსიომ. მას ბუნდესლიგაში 16 მატჩი აქვს ჩატარებული, სადაც 8 გოლი გაიტანა. ლუსიოში „ბაიერს“ იტალიური „რომა“ და „პარმა“ 30 მილიონ დოლარს სთავაზობენ.

## ინტერტოტოს თასი — ფინალის პირველი მატჩები


პსჟ — ბრეშა


ტრუა — ნიუკასლი

***ბაზელი (შვეიცარია) — ასტონ ვილა (ინგლისი) 1-1***
***პსჟ (საფრანგეთი) — ბრეშა (იტალია) 0-0***
***ტრუა (საფრანგეთი) — ნიუკასლი (ინგლისი) 0-0***

# თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. ვინ გაიტანა გადამწყვეტი გოლი საქართველოს თასის პირველ ფინალურ შეხვედრაში 1990 წელს („გურია“ — „ცხუმი“ 1-0):***
ა) კორღალიძე
ბ) ფრიდონიშვილი
გ) კაბისაშვილი
***2. ვინ შეასრულა პირველი „დუბლი“ საქართველოს თასის ფინალურ შეხვედრებში:***
ა) რ. არველაძე
ბ) ლ. ხომერიკი
გ) მ. ყაველაშვილი
***3. ვინ იყო მთავარი მსაჯი საქართველოს თასის ფინალის პირველ გათამაშებაში:***
ა) მალაღურაძე
ბ) კვარაცხელია
გ) კობიაშვილი
***4. რომელმა მსაჯმა იმსაჯა საქართველოს თასის ფინალი ყველაზე მეტჯერ***
ა) ს. კვარაცხელია
ბ) თ. ლაცაბიძე
გ) ო. გუნთაძე
***5. საქართველოს თასის რომელ ფინალურ შეხვედრაში შეძლეს სამივე ძმებმა არველაძეებმა გოლის გატანა:***
ა) II ფინალი 1992 წელი („იბერია“ — „ცხუმი“)
ბ) III ფინალი 1993 წელი („დინამო (თბ) — „ბათუმი“)
გ) IV ფინალი 1994 წელი („დინამო“ (თბ) — „მეტალურგი“)

წინა ნომრის პასუხები:
1 — ბ, 2 — გ, 3 — ბ, 4 — ა, 5 — ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პორტუგალიის ჩემპიონატის 2001/2002 წლების გათამაშების კალენდარი

**I ტური (12 აგვისტო)**
ბოავიშტა — ბეირა მარი
სანტა კლარა — ალვერკა
სალგეირუში — ფარენსე
ბრაგა — ლეირია
სპორტინგი — პორტუ
გიმარაეში — ქილ ვისენტე
მარიტიმუ — სეტუბალი
ფერეირა — ბელენენსეში
ვარზიმი — ბენფიკა

**II ტური (19 აგვისტო)**
ბენფიკა — სალგეირუში
სეტუბალი — ვარზიმი
ბეირა მარი — მარიტიმუ
პორტუ — ბოავიშტა
ბელენენსეში — სპორტინგი
ალვერკა — ფერეირა
ლეირია — სანტა კლარა
ქილ ვისენტე — ბრაგა
ფარენსე — გიმარაეში

**III ტური (26 აგვისტო)**
ბენფიკა — სეტუბალი
ვარზიმი — ბეირა მარი
მარიტიმუ — პორტუ
ბოავიშტა — ბელენენსეში
სპორტინგი — ალვერკა
ფერეირა — ლეირია
სანტა კლარა — ქილ ვისენტე
ბრაგა — ფარენსე
სალგეირუში — გიმარაეში

**IV ტური (9 სექტემბერი)**
სეტუბალი — სალგეირუში
ბეირა მარი — ბენფიკა
პორტუ — ვარზიმი
ბელენენსეში — მარიტიმუ
ალვერკა — ბოავიშტა
ლეირია — სპორტინგი
ქილ ვისენტე — ფერეირა
ფარენსე — სანტა კლარა
გიმარაეში — ბრაგა

**V ტური (16 სექტემბერი)**
სეტუბალი — ბეირა მარი
ბენფიკა — პორტუ
ვარზიმი — ბელენენსეში
მარიტიმუ — ალვერკა
ბოავიშტა — ლეირია
სპორტინგი — ქილ ვისენტე
ფერეირა — ფარენსე
სანტა კლარა — გიმარაეში
სალგეირუში — ბრაგა

**VI ტური (23 სექტემბერი)**
ბეირა მარი — სალგეირუში
პორტუ — სეტუბალი
ბელენენსეში — ბენფიკა
ალვერკა — ვარზიმი
ლეირია — მარიტიმუ
ქილ ვისენტე — ბოავიშტა
ფარენსე — სპორტინგი
გიმარაეში — ფერეირა
ბრაგა — სანტა კლარა

**VII ტური (30 სექტემბერი)**
ბეირა მარი — პორტუ
სეტუბალი — ბელენენსეში
ბენფიკა — ალვერკა
ვარზიმი — ლეირია
მარიტიმუ — ქილ ვისენტე
ბოავიშტა — ფარენსე
სპორტინგი — გიმარაეში
ფარენსე — ბრაგა
სალგეირუში — სანტა კლარა

**VIII ტური (14 ოქტომბერი)**
პორტუ — სალგეირუში
ბელენენსეში — ბეირა მარი
ალვერკა — სეტუბალი
ლეირია — ბენფიკა
ქილ ვისენტე — ვარზიმი
ფარენსე — მარიტიმუ
გიმარაეში — ბოავიშტა
ბრაგა — სპორტინგი
სანტა კლარა — ფერეირა

**IX ტური (21 ოქტომბერი)**
პორტუ — ბელენენსეში
ბეირა მარი — ალვერკა
სეტუბალი — ლეირია
ბენფიკა — ქილ ვისენტე
ვარზიმი — ფარენსე
მარიტიმუ — გიმარაეში
ბოავიშტა — ბრაგა
სპორტინგი — სანტა კლარა
სალგეირუში — ფერეირა

**X ტური (28 ოქტომბერი)**
ბელენენსეში — სალგეირუში
ალვერკა — პორტუ
ლეირია — ბეირა მარი
ქილ ვისენტე — სეტუბალი
ფარენსე — ბენფიკა
გიმარაეში — ვარზიმი
ბრაგა — მარიტიმუ
სანტა კლარა — ბოავიშტა
ფერეირა — სპორტინგი

**XI ტური (4 ნოემბერი)**
ბელენენსეში — ალვერკა
პორტუ — ლეირია
ბეირა მარი — ქილ ვისენტე
სეტუბალი — ფარენსე
ბენფიკა — გიმარაეში
ვარზიმი — ბრაგა
მარიტიმუ — სანტა კლარა
ბოავიშტა — ფერეირა
სალგეირუში — სპორტინგი

**XII ტური (25 ნოემბერი)**
ალვერკა — სალგეირუში
ლეირია — ბელენენსეში
ქილ ვისენტე — პორტუ
ფარენსე — ბეირა მარი
გიმარაეში — სეტუბალი
ბრაგა — ბენფიკა
სანტა კლარა — ვარზიმი
ფერეირა — მარიტიმუ
სპორტინგი — ბოავიშტა

**XIII ტური (2 დეკემბერი)**
ალვერკა — ლეირია
ბელენენსეში — ქილ ვისენტე
პორტუ — ფარენსე
ბეირა მარი — გიმარაეში
სეტუბალი — ბრაგა
ბენფიკა — სანტა კლარა
ვარზიმი — ფერეირა
მარიტიმუ — სპორტინგი
სალგეირუში — ბოავიშტა

**XIV ტური (9 დეკემბერი)**
სანტა კლარა — სეტუბალი
ლეირია — სალგეირუში
ქილ ვისენტე — ალვერკა
ფარენსე — ბელენენსეში
გიმარაეში — პორტუ
ბრაგა — ბეირა მარი
ფერეირა — ბენფიკა
სპორტინგი — ვარზიმი
ბოავიშტა — მარიტიმუ

**XV ტური (16 დეკემბერი)**
ლეირია — ქილ ვისენტე
ალვერკა — ფარენსე
ბელენენსეში — გიმარაეში
პორტუ — ბრაგა
ბეირა მარი — სანტა კლარა
სეტუბალი — ფერეირა
ბენფიკა — სპორტინგი
ვარზიმი — ბოავიშტა
სალგეირუში — მარიტიმუ

**XVI ტური (22 დეკემბერი)**
სალგეირუში — ქილ ვისენტე
ფარენსე — ლეირია
გიმარაეში — ალვერკა
ბრაგა — ბელენენსეში
სანტა კლარა — პორტუ
ფერეირა — ბეირა მარი
სპორტინგი — სეტუბალი
ბოავიშტა — ბენფიკა
მარიტიმუ — ვარზიმი

**XVII ტური (6 იანვარი 2002 წ.)**
ქილ ვისენტე — ფარენსე
ლეირია — გიმარაეში
ალვერკა — ბრაგა
ბელენენსეში — სანტა კლარა
პორტუ — ფერეირა
ბეირა მარი — სპორტინგი
სეტუბალი — ბოავიშტა
ბენფიკა — მარიტიმუ
ვარზიმი — სალგეირუში

## მეორე წრე

**XVIII ტური (13 იანვარი)**
ბეირა მარი — ბოავიშტა
ალვერკა — სანტა კლარა
ფარენსე — სალგეირუში
ლეირია — ბრაგა
პორტუ — სპორტინგი
ქილ ვისენტე — გიმარაეში
სეტუბალი — მარიტიმუ
ბელენენსეში — ფერეირა
ბენფიკა — ვარზიმი

**XIX ტური (20 იანვარი)**
სალგეირუში — ბენფიკა
ვარზიმი — სეტუბალი
მარიტიმუ — ბეირა მარი
ბოავიშტა — პორტუ
სპორტინგი — ბელენენსეში
ფერეირა — ალვერკა
სანტა კლარა — ლეირია
ბრაგა — ქილ ვისენტე
გიმარაეში — ფარენსე

**XX ტური (27 იანვარი)**
სეტუბალი — ბენფიკა
ბეირა მარი — ვარზიმი
პორტუ — მარიტიმუ
ბელენენსეში — ბოავიშტა
ალვერკა — სპორტინგი
ლეირია — ფერეირა
ქილ ვისენტე — სანტა კლარა
ფარენსე — ბრაგა
გიმარაეში — სალგეირუში

**XXI ტური (3 თებერვალი)**
სალგეირუში — სეტუბალი
ბეირა მარი — ბენფიკა
ვარზიმი — პორტუ
მარიტიმუ — ბელენენსეში
ბოავიშტა — ალვერკა
სპორტინგი — ლეირია
ფერეირა — ქილ ვისენტე
სანტა კლარა — ფარენსე
ბრაგა — გიმარაეში

**XXII ტური (9 თებერვალი)**
ბეირა მარი — სეტუბალი
პორტუ — ბენფიკა
ბელენენსეში — ვარზიმი
ალვერკა — მარიტიმუ
ლეირია — ბოავიშტა
ქილ ვისენტე — სპორტინგი
ფარენსე — ფერეირა
გიმარაეში — სანტა კლარა
ბრაგა — სალგეირუში

**XXIII ტური (17 თებერვალი)**
სალგეირუში — ბეირა მარი
სეტუბალი — პორტუ
ბენფიკა — ბელენენსეში
ვარზიმი — ალვერკა
მარიტიმუ — ლეირია
ბოავიშტა — ქილ ვისენტე
სპორტინგი — ფარენსე
ფერეირა — გიმარაეში
სანტა კლარა — ბრაგა

**XXIV ტური (24 თებერვალი)**
პორტუ — ბეირა მარი
ბელენენსეში — სეტუბალი
ალვერკა — ბენფიკა
ლეირია — ვარზიმი
ქილ ვისენტე — მარიტიმუ
ფარენსე — ბოავიშტა
გიმარაეში — ლეირია
ბრაგა — ფერეირა
სანტა კლარა — სალგეირუში

**XXV ტური (3 მარტი)**
სალგეირუში — პორტუ
ბეირა მარი — ბელენენსეში
სეტუბალი — ალვერკა
ბენფიკა — ლეირია
ვარზიმი — ქილ ვისენტე
მარიტიმუ — ფარენსე
ბოავიშტა — გიმარაეში
სპორტინგი — ბრაგა
ფერეირა — სანტა კლარა

**XXVI ტური (10 მარტი)**
ბელენენსეში — პორტუ
ალვერკა — ბეირა მარი
ლეირია — სეტუბალი
ქილ ვისენტე — ბენფიკა
ფარენსე — ვარზიმი
გიმარაეში — მარიტიმუ
ბრაგა — ბოავიშტა
სანტა კლარა — სპორტინგი
ფერეირა — სალგეირუში

**XXVII ტური (17 მარტი)**
სალგეირუში — ბელენენსეში
პორტუ — ალვერკა
ბეირა მარი — ლეირია
სეტუბალი — ქილ ვისენტე
ბენფიკა — ფარენსე
ვარზიმი — გიმარაეში
მარიტიმუ — ბრაგა
ბოავიშტა — სანტა კლარა
სპორტინგი — ფერეირა

**XXVIII ტური (24 მარტი)**
ალვერკა — ბელენენსეში
ლეირია — პორტუ
ქილ ვისენტე — ბეირა მარი
ფარენსე — სეტუბალი
გიმარაეში — ბენფიკა
ბრაგა — ვარზიმი
სანტა კლარა — მარიტიმუ
ფერეირა — ბოავიშტა
სპორტინგი — სალგეირუში

**XXIX ტური (30 მარტი)**
სალგეირუში — ალვერკა
ბელენენსეში — ლეირია
პორტუ — ქილ ვისენტე
ბეირა მარი — ფარენსე
სეტუბალი — გიმარაეში
ბენფიკა — ბრაგა
ვარზიმი — სანტა კლარა
მარიტიმუ — ფერეირა
ბოავიშტა — სპორტინგი

**XXX ტური (7 აპრილი)**
ლეირია — ალვერკა
ქილ ვისენტე — ბელენენსეში
ფარენსე — პორტუ
გიმარაეში — ბეირა მარი
ბრაგა — სეტუბალი
სანტა კლარა — ბენფიკა
ფერეირა — ვარზიმი
სპორტინგი — მარიტიმუ
ბოავიშტა — სალგეირუში

**XXXI ტური (14 აპრილი)**
სალგეირუში — ლეირია
ალვერკა — ქილ ვისენტე
ბელენენსეში— ფარენსე
პორტუ — გიმარაეში
ბეირა მარი — ბრაგა
სეტუბალი — სანტა კლარა
ბენფიკა — ფერეირა
ვარზიმი — სპორტინგი
მარიტიმუ — ბოავიშტა

**XXXII ტური (21 აპრილი)**
ქილ ვისენტე — ლეირია
ფარენსე — ალვერკა
გიმარაეში — ბელენენსეში
ბრაგა — პორტუ
სანტა კლარა — ბეირა მარი
ფერეირა — სეტუბალი
სპორტინგი — ბენფიკა
ბოავიშტა — ვარზიმი
მარიტიმუ — სალგეირუში

**XXXIII ტური (28 აპრილი)**
ქილ ვისენტე — სალგეირუში
ლეირია — ფარენსე
ალვერკა — გიმარაეში
ბელენენსეში — ბრაგა
პორტუ — სანტა კლარა
ბეირა მარი — ფერეირა
სეტუბალი — სპორტინგი
ბენფიკა — ბოავიშტა
ვარზიმი — მარიტიმუ

**XXXIV ტური (5 მაისი)**
ფარენსე — ქილ ვისენტე
გიმარაეში — ლეირია
ბრაგა — ალვერკა
სანტა კლარა — ბელენენსეში
ფერეირა — პორტუ
სპორტინგი — ბეირა მარი
ბოავიშტა — სეტუბალი
მარიტიმუ — ბენფიკა
სალგეირუში — ვარზიმი

# ბელგიის ჩემპიონატის 2001/2002 წლების გათამაშების კალენდარი

**I ტური (11 აგვისტო)**
შარლერუა — სტანდარდი
ანდერლეჰტი — ანტვერპენი
გენკი — ბევერენი
ლიერსი — ლოკერენი
გენტი — სტ. ტრუიდენი
ლომელი — მოლენბეკი
ბეერსხოტი — ლუვიე
ბრიუგე — ვესტერლო
აალსტი — მუსკრონი

**II ტური (18 აგვისტო)**
ლუვიე — ანდერლეხტი
სტანდარდი — ბეერსხოტი
მოლენბეკი — შარლერუა
სტ. ტრუიდენი — ლომელი
მუსკრონი — გენტი
ვესტერლო — აალსტი
ლოკერენი — ბრიუგე
ბევერენი — ლიერსი
ანტვერპენი — გენკი

**III ტური (25 აგვისტო)**
შარლერუა — სტ. ტრუიდენი
სტანდარდი — მოლენბეკი
გენკი — ლუვიე
ლიერსი — ანტვერპენი
გენტი — ვესტერლო
ლომელი — მუსკრონი
ბეერსხოტი — ანდერლეხტი
ბრიუგე — ბევერენი
აალსტი — ლოკერენი

**IV ტური (8 სექტემბერი)**
ლუვიე — ლიერსი
ანდერლეხტი — გენკი
მოლენბეკი — ბეერსხოტი
სტ. ტრუიდენი — სტანდარდი
მუსკრონი — შარლერუა
ვესტერლო — ლომელი
ლოკერენი — გენტი
ბევერენი — აალსტი
ანტვერპენი — ბრიუგე

**V ტური (15 სექტემბერი)**
შარლერუა — ვესტერლო
სტანდარდი — მუსკრონი
მოლენბეკი — სტ. ტრუიდენი
ლიერსი — ანდერლეხტი
გენტი — ბევერენი
ლომელი — ლოკერენი
ბეერსხოტი — გენკი
ბრიუგე — ლუვიე
აალსტი — ანტვერპენი

**VI ტური (22 სექტემბერი)**
ლუვიე — აალსტი
ანდერლეხტი — ბრიუგე
გენკი — ლიერსი
სტ. ტრუიდენი — ბეერსხოტი
მუსკრონი — მოლენბეკი
ვესტერლო — სტანდარდი
ლოკერენი — შარლერუა
ბევერენი — ლომელი
ანტვერპენი — გენტი

**VII ტური (29 სექტემბერი)**
შარლერუა — ბევერენი
სტანდარდი — ლოკერენი
მოლენბეკი — ვესტერლო
სტ. ტრუიდენი — მუსკრონი
გენტი — ლუვიე
ლომელი — ანტვერპენი
ბეერსხოტი — ლიერსი
ბრიუგე — გენკი
აალსტი — ანდერლეხტი

**VIII ტური (10 ოქტომბერი)**
ლუვიე — ლომელი
ანდერლეხტი — გენტი
გენკი — აალსტი
ლიერსი — ბრიუგე
მუსკრონი — ბეერსხოტი
ვესტერლო — სტ. ტრუიდენი
ლოკერენი — მოლენბეკი
ბევერენი — სტანდარდი
ანტვერპენი — შარლერუა

**IX ტური (13 ოქტომბერი)**
შარლერუა — ლუვიე
სტანდარდი — ანტვერპენი
მოლენბეკი — ბევერენი
სტ. ტრუიდენი — ლოკერენი
მუსკრონი — ვესტერლო
გენტი — გენკი
ლომელი — ანდერლეხტი
ბეერსხოტი — ბრიუგე
აალსტი — ლიერსი

**X ტური (20 ოქტომბერი)**
ლუვიე — სტანდარდი
ანდერლეხტი — შარლერუა
გენკი — ლომელი
ლიერსი — გენტი
ვესტერლო — ბეერსხოტი
ლოკერენი — მუსკრონი
ბევერენი — სტ. ტრუიდენი
ანტვერპენი — მოლენბეკი
ბრიუგე — აალსტი

**XI ტური (27 ოქტომბერი)**
შარლერუა — გენკი
სტანდარდი — ანდერლეხტი
მოლენბეკი — ლუვიე
სტ. ტრუიდენი — ანტვერპენი
მუსკრონი — ბევერენი
ვესტერლო — ლოკერენი
გენტი — ბრიუგე
ლომელი — ლიერსი
ბეერსხოტი — აალსტი

**XII ტური (3 ნოემბერი)**
ლუვიე — სტ. ტრუიდენი
ანდერლეხტი — მოლენბეკი
გენკი — სტანდარდი
ლიერსი — შარლერუა
ლოკერენი — ბეერსხოტი
ბევერენი — ვესტერლო
ანტვერპენი — მუსკრონი
ბრიუგე — ლომელი
აალსტი — გენტი

**XIII ტური (24 ნოემბერი)**
შარლერუა — ბრიუგე
სტანდარდი — ლიერსი
მოლენბეკი — გენკი
სტ. ტრუიდენი — ანდერლეხტი
მუსკრონი — ლუვიე
ვესტერლო — ანტვერპენი
ლოკერენი — ბევერენი
ლომელი — აალსტი
ბეერსხოტი — გენტი

**XIV ტური (1 დეკემბერი)**
ლუვიე — ვესტერლო
ანდერლეხტი — მუსკრონი
გენკი — სტ. ტრუიდენი
ლიერსი — მოლენბეკი
გენტი — ლომელი
ბევერენი — ბეერსხოტი
ანტვერპენი — ლოკერენი
ბრიუგე — სტანდარდი
აალსტი — შარლერუა

**XV ტური (8 დეკემბერი)**
შარლერუა — გენტი
სტანდარდი — აალსტი
მოლენბეკი — ბრიუგე
სტ. ტრუიდენი — ლიერსი
მუსკრონი — გენკი
ლოკერენი — ლუვიე
ბევერენი — ანტვერპენი
ბეერსხოტი — ლომელი
ვესტერლო — ანდერლეხტი

**XVI ტური (15 დეკემბერი)**
ლუვიე — ბევერენი
ანდერლეხტი — ლოკერენი
გენკი — ვესტერლო
ლიერსი — მუსკრონი
გენტი — სტანდარდი
ლომელი — შარლერუა
ბეერსხოტი — ანტვერპენი
ბრიუგე — სტ. ტრუიდენი
აალსტი — მოლენბეკი

**XVII ტური (19 დეკემბერი)**
შარლერუა — ბეერსხოტი
სტანდარდი — ლომელი
მოლენბეკი — გენტი
სტ. ტრუიდენი — აალსტი
მუსკრონი — ბრიუგე
ვესტერლო — ლიერსი
ლოკერენი — გენკი
ბევერენი — ანდერლეხტი
ანტვერპენი — ლუვიე

## მეორე წრე

**XVIII ტური (12 იანვარი 2002 წელი)**
სტანდარდი — შარლერუა
ანტვერპენი — ანდერლეხტი
ბევერენი — გენკი
ლოკერენი — ლიერსი
სტ. ტრუიდენი — გენტი
მოლენბეკი — ლომელი
ლუვიე — ბეერსხოტი
ვესტერლო — ბრიუგე
მუსკრონი — აალსტი

**XIX ტური (19 იანვარი)**
ანდერლეხტი — ლუვიე
ბეერსხოტი — სტანდარდი
შარლერუა — მოლენბეკი
ლომელი — სტ. ტრუიდენი
გენტი — მუსკრონი
აალსტი — ვესტერლო
ბრიუგე — ლოკერენი
ლიერსი — ბევერენი
გენკი — ანტვერპენი

**XX ტური (26 იანვარი)**
სტ. ტრუიდენი — შარლერუა
მოლენბეკი — სტანდარდი
ლუვიე — გენკი
ანტვერპენი — ლიერსი
ვესტერლო — გენტი
მუსკრონი — ლომელი
ანდერლეხტი — ბეერსხოტი
ბევერენი — ბრიუგე
ლოკერენი — აალსტი

**XXI ტური (2 თებერვალი)**
ლიერსი — ლუვიე
გენკი — ანდერლეხტი
ბეერსხოტი — მოლენბეკი
სტანდარდი — სტ. ტრუიდენი
შარლერუა — მუსკრონი
ლომელი — ვესტერლო
გენტი — ლოკერენი
აალსტი — ბევერენი
ბრიუგე — ანტვერპენი

**XXII ტური (9 თებერვალი)**
ვესტერლო — შარლერუა
მუსკრონი — სტანდარდი
სტ. ტრუიდენი — მოლენბეკი
ანდერლეხტი — ლიერსი
ბევერენი — გენტი
ლოკერენი — ლომელი
გენკი — ბეერსხოტი
ლუვიე — ბრიუგე
ანტვერპენი — აალსტი

**XXIII ტური (16 თებერვალი)**
აალსტი — ლუვიე
ბრიუგე — ანდერლეხტი
ლიერსი — გენკი
ბეერსხოტი — სტ. ტრუიდენი
მოლენბეკი — მუსკრონი
სტანდარდი — ვესტერლო
შარლერუა — ლოკერენი
ლომელი — ბევერენი
გენტი — ანტვერპენი

**XXIV ტური (23 თებერვალი)**
ბევერენი — შარლერუა
ლოკერენი — სტანდარდი
ვესტერლო — მოლენბეკი
მუსკრონი — სტ. ტრუიდენი
ლუვიე — გენტი
ანტვერპენი — ლომელი
ლიერსი — ბეერსხოტი
გენკი — ბრიუგე
ანდერლეხტი — აალსტი

**XXV ტური (2 მარტი)**
ლომელი — ლუვიე
გენტი — ანდერლეხტი
აალსტი — გენკი
ბრიუგე — ლიერსი
ბეერსხოტი — მუსკრონი
სტ. ტრუიდენი — ვესტერლო
მოლენბეკი — ლოკერენი
სტანდარდი — ბევერენი
შარლერუა — ანტვერპენი

**XXVI ტური (9 მარტი)**
ლუვიე — შარლერუა
ანტვერპენი — სტანდარდი
ბევერენი — მოლენბეკი
ლოკერენი — სტ. ტრუიდენი
ვესტერლო — მუსკრონი
გენკი — გენტი
ანდერლეხტი — ლომელი
ბრიუგე — ბეერსხოტი
ლიერსი — აალსტი

**XXVII ტური (16 მარტი)**
სტანდარდი — ლუვიე
შარლერუა — ანდერლეხტი
ლომელი — გენკი
გენტი — ლიერსი
ბეერსხოტი — ვესტერლო
მუსკრონი — ლოკერენი
სტ. ტრუიდენი — ბევერენი
მოლენბეკი — ანტვერპენი
აალსტი — ბრიუგე

**XXVIII ტური (23 მარტი)**
გენკი — შარლერუა
ანდერლეხტი — სტანდარდი
ლუვიე — მოლენბეკი
ანტვერპენი — სტ. ტრუიდენი
ბევერენი — მუსკრონი
ლოკერენი — ვესტერლო
ბრიუგე — გენტი
ლიერსი — ლომელი
აალსტი — ბეერსხოტი

**XXIX ტური (30 მარტი)**
სტ. ტრუიდენი — ლუვიე
მოლენბეკი — ანდერლეხტი
სტანდარდი — გენკი
შარლერუა — ლიერსი
ბეერსხოტი — ლოკერენი
ვესტერლო — ბევერენი
მუსკრონი — ანტვერპენი
ლომელი — ბრიუგე
გენტი — აალსტი

**XXX ტური (6 აპრილი)**
ბრიუგე — შარლერუა
ლიერსი — სტანდარდი
გენკი — მოლენბეკი
ანდერლეხტი — სტ. ტრუიდენი
ლუვიე — მუსკრონი
ანტვერპენი — ვესტერლო
ბევერენი — ლოკერენი
აალსტი — ლომელი
გენტი — ბეერსხოტი

**XXXI ტური (13 აპრილი)**
ვესტერლო — ლუვიე
მუსკრონი — ანდერლეხტი
სტ. ტრუიდენი — გენკი
მოლენბეკი — ლიერსი
ლომელი — გენტი
ბეერსხოტი — ბევერენი
ლოკერენი — ანტვერპენი
სტანდარდი — ბრიუგე
შარლერუა — აალსტი

**XXXII ტური (20 აპრილი)**
გენტი — შარლერუა
აალსტი — სტანდარდი
ბრიუგე — მოლენბეკი
ლიერსი — სტ. ტრუიდენი
გენკი — მუსკრონი
ლუვიე — ლოკერენი
ანტვერპენი — ბევერენი
ლომელი — ბეერსხოტი
ანდერლეხტი — ვესტერლო

**XXXIII ტური (28 აპრილი)**
ბევერენი — ლუვიე
ლოკერენი — ანდერლეხტი
ვესტერლო — გენკი
მუსკრონი — ლიერსი
სტანდარდი — გენტი
შარლერუა — ლომელი
ანტვერპენი — ბეერსხოტი
სტ. ტრუიდენი — ბრიუგე
მოლენბეკი — აალსტი

**XXXIV ტური (5 მაისი)**
ბეერსხოტი — შარლერუა
ლომელი — სტანდარდი
გენტი — მოლენბეკი
აალსტი — სტ. ტრუიდენი
ბრიუგე — მუსკრონი
ლიერსი — ვესტერლო
გენკი — ლოკერენი
ანდერლეხტი — ბევერენი
ლუვიე — ანტვერპენი

უნგრეთის ფეხბურთის ისტორიიდან

# „ცალფეხა მაიორი“

**ამ ბოლო ხანებში ხშირად კამათობენ XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელის დასადგენად. ასახელებენ პელეს და მარადონას. როგორ გინდათ დაადგინოთ, ვინ იყო მათ შორის უძლიერესი, რა გზით, რა კრიტერიუმით? ამასთან, განა ნაკლები ქომაგი ჰყავთ დი სტეფანოს, პუშკაშს, კრუიფს... რითი ჩამოუვარდებოდნენ ისინი პირველს ან მეორეს.**

**თუ ამ ხუთეულს შორის ძნელია რაიმე კატეგორიულის თქმა და ქომაგები ყველას მრავლად ჰყოლება, იმაზე კი ვინ კამათობს, რომ უნგრეთში, ყოველ შემთხვევაში, ამ ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში არა ყოფილა ფერენც პუშკაშის დონისა და პოპულარობის მქონე ფეხბურთელი. ლეგენდარული, თუ გნებავთ, სწორედ ის იყო და არის. ახლა, როდესაც უნგრეთში ეროვნული ფეხბურთის ფედერაციის 100 წლისთავს აღნიშნავენ, სწორედ პუშკაშზე ღირს ლაპარაკი. არა, ფერენც პუშკაშს დიდი ტალანტი არ ეთქმის, იგი ფეხბურთის ნამდვილი გენიოსია.**

1963 წელს ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე ფეხბურთის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ ინგლისისა და ფიფას ნაკრებები. ვინღა არ მონაწილეობდა ამ თამაშში, ფეხბურთელთა მთელი თანავარსკვლავედი. ჩვენს მიხეილ მესხსაც უნდა ეთამაშა და მატჩსაც დაამშვენებდა, მაგრამ ორგანიზატორებს შეატყობინეს, რომ იგი... ავად იყო (??).

საბჭოთა კომენტატორი წამდაუწუმ ასახელებდა მატჩის მონაწილეთა გვარებს, მაგრამ არასდიდებით არ უხსენებია ერთი ფეხბურთელის სახელი. ეს, ასე ვთქვათ, თავისებური იდეოლოგიური ანგარიშსწორება იყო. არადა, ყველამ კარგად იცოდა, რომ ეს „ათი ნომერი“ გახლდათ ლეგენდარული უნგრელი თავდამსხმელი ფერენც პუშკაში — ერთ-ერთი უდიდესი ოსტატი ფეხბურთის ისტორიაში.

პუშკაში მართლაც უნიკალური ფიგურაა ფეხბურთში. სხვადასხვა დროს უთამაშია უნგრეთის, ესპანეთის, ფიფასა და უეფას ნაკრებებში. მწვრთნელად მუშაობდა რვა ქვეყანაში. და, ვინ მოთვლის, რამდენი გოლი გაუტანია თავისი ხანგრძლივი სპორტულ კარიერაში. „ვერაფერს მოგახსენებთ, შეიძლება სტატისტიკოსებმა იცოდნენ. მე კი, თუ რამე მახსოვს, ეს ის გამოუყენებელი საგოლე მომენტებია, შემდეგში სიცოცხლეს რომ მიმწარებდა“.

ფერენც პუშკაში დაიბადა 1927 წლის 2 აპრილს. მისი გერმანელი პაპა ფრანც პერცფელდი შვაბიიდან უნგრეთში გადასახლდა. (ფეხბურთელსაც პაპის სახელი დაარქვეს). 20-იან წლებში მისმა შვილმა, პროფესიონალმა ფეხბურთელმა და შემდეგ ბუდაპეშტის „კიშპეშტის“ მწვრთნელმა, რომელიც ასევე ფრანც პერცფელდი



*1954 წ. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. გფრ — უნგრეთი. პუშკაშისა (მუქ მაისურში) და ლიბრიხის ორთაბრძოლა ბურთისთვის.*

გახლდათ, ასე ვთქვათ, დეგერმანიზაციის დროს, სახელი და გვარი შეიცვლა — ფერენც პუშკაში გახდა. რა იცოდა პაპამ ან მამამ, რომ უმცროსი ფერენც პუშკაში უკვე მთელ მსოფლიოში გაითქვამდა სახელს.

საყურადღებოა, რომ ფერენც პუშკაში 24 წლის (!) მანძილზე სულ ორ საკლუბო გუნდში: ბუდაპეშტის „კიპეშტსა“ (მოგვიანებით მას „ჰონვედი“ დაერქვა) და მადრიდის „რეალში“ თამაშობდა. სტატისტიკოსებს პირდაპირ თავბრუდამხვევი მონაცემები მოჰყავთ: ოთხჯერ გახდა უნგრეთის ჩემპიონატის უპირველესი სნაიპერი; 1948 წელს 50 (!) გოლი გაიტანა, 1949-50 წლების პირველობაზე — 31, 1950 წელს — 25, 1953 წელს — 27. ესპანეთის პირველობებზე: 1960 წელს — 26, 1961 წელს — 27, 1963 წელს — 26, 1964 წ — 10 გოლი. მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში (1958-1966 წ.წ.) 372 მატჩში 324 გოლი გაიტანა. 1945-1956 წლებში უნგრეთის ნაკრების მაისური 84-ჯერ ჩაიცვა და 83 ბურთიც გაიტანა, 1961-62 წლებში ესპანეთის ნაკრებში 4 მატჩი ითამაშა და 2 გოლი გაიტანა. გაგაცნობთ ჩეხური „მალა ენციკლოპედიე ფუტბალუს“ მონაცემებს: თავისი კარიერის მანძილზე პუშკაშმა მონაწილეობა მიიღო 1300 მატჩში და 1200 გოლის „ავტორი“ გახდა. ფანტასტიკური მიღწევაა! პუშკაშმა ოლიმპიურ ოქროსაც „გაუსინჯა გემო“ 1952 წელს, 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატში კი თანაგუნდელებთან ერთად ვერცხლსლა დასჯერდა; 1962 წელს 35 წლისა (!) მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა ჩილეში.

ეროვნულ ნაკრებში პუშკაშმა პირველად 18 წლისამ ითამაშა 1945 წლის 20 აგვისტოს ავსტრიელების წინააღმდეგ (5-2) და გულშემატკივრებმა მაშინვე „სასიყვარულო“ მეტსახელი — „ცალფეხა“ შეარქვეს. იმდროინდელ უნგრულ პრესაში წერდნენ: — ერთი ფეხი იმისთვის სჭირდება, რომ იდგეს, მეორე (მარცხენა) კი — კარში დასარტყმელად. შემდეგში, როცა არმიელთა კლუბში მოთამაშე პუშკაშმა მაიორის წოდება მიიღო, მას უკვე „ცალფეხა მაიორი“ შეარქვეს. უნგრეთის ნაკრებს 11 წლის შემდეგ, 1956 წლის 14 ოქტომბერს გამოეთხოვა (2-0 კვლავ იმავე ავსტრიელების წინააღმდეგ). ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ცოტა ხნის შემდეგ „ცალფეხა მაიორი“ სხვა ქვეყნის ღირსებას დაიცავდა.

პუშკაშის ყველა სპორტული მიღწევის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ზოგიერთი მომენტი მაინც უნდა აღვნიშნოთ. 1952 წელს ჰელსინკში უნგრეთის ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. იუგოსლავიის მეტად ძლიერი ნაკრების დამარცხების შემდეგ (2-0) უნგრელებს „დიდი გუნდი“ უწოდეს. გროშიჩმა, ბოჟიკმა, ჰიდეგკუტიმ, კოჩიშმა და, რა თქმა უნდა, პუშკაშმა მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი. როდესაც მოგვიანებით პუშკაშს ჰკითხეს, რომელი გუნდი იყო, ბოლოს და ბოლოს, უძლიერესი ფეხბურთის ისტორიაში — მისი თუ ბრაზილიის 1958 წლის ნაკრები, „ცალფეხა მაიორმა“ ასე უპასუხა: „რა თქმა უნდა, ჩვენი. პელეს გუნდს აუცილებლად მოვუგებდით“.

1953 წელს „დიდმა გუნდმა“ ორჯერ სძლია ინგლისის ნაკრებს, — ჯერ ლონდონის „უემბლიზე“ — 6-3, იმ სტადიონზე, სადაც ინგლისელები მანამდე კონტინენტის გუნდებთან არასოდეს დამარცხებულან, შემდეგ კი, ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე“ — 7-1. ამ პერიოდში უნგრელები მართლაც გასაოცარ შედეგებს აღწევდნენ. დავაკვირდეთ ასეთ მონაცემებს: 1949 წლის 8 მაისიდან მოყოლებული 1955 წლის 27 ნოემბრამდე ნაკრებმა გამართა 59 ოფიციალური მატჩი: 50 მოიგო, 7 ფრედ დაასრულა, მხოლოდ ორი წააგო; ბურთების სხვაობა — 245-69. განა სადმე, რომელიმე ნაკრებს, ოდესმე, ასეთი შედეგები ჰქონია?!

სპეციალისტების უმეტესობა მოელოდა, რომ ამ, ფაქტობრივად, უძლეველ გუნდს, 1954 წელს შვეიცარიაში მსოფლიო ჩემპიონობა უნდა მოეპოვებინა. ასეც იყო ფინალურ მატჩამდე, რომელშიც უნგრელები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს შეხვდნენ. პუშკაშმა გახსნა ანგარიში, შემდეგ უნგრელებმა მეორე ბურთიც გაიტანეს, მაგრამ გერმანელებმა ზედიზედ სამჯერ აიღეს მეტოქის კარი და ჩემპიონობაც მათ დარჩათ. ბევრმა ასეთი შედეგი შემთხვევითობად მიიჩნია. პუშკაშს შემდეგ ბევრჯერ მოუხდა ამ მატჩზე ლაპარაკი. ვნებები რომ ჩაცხრა, მან აღნიშნა გერმანელების მაღალი ოსტატობა. მიუხედავად იმისა, რომ მსაჯზე ნაწყენი იყო (მან ერთი გოლი არ ჩაუთვალა), „ცალფეხამ“ შემდეგ მეტოქეთა ღირსებებზეც ილაპარაკა და მათი მწვრთნელის (ზეპ ჰერბერგერის) დიდ ხელოვნებაზეც. უნდა გავუსვათ ხაზი პუშკაშის ნამდვილ რაინდობას ფინალურ მატჩში. — იგი დაშავებული თამაშობდა. იმ ჩემპიონატის წინასწარ მატჩში უნგრელები და გერმანელები ერთმანეთს შეხვდნენ (მატჩი უნგრელებმა მოიგეს — 8-3), ლიბრიხმა უნგრელ სნაიპერს ტრავმა მიაყენა, რომელიც ფინალური მატჩისთვის მთლიანად ვერ მოუშუშდა.

1956 წლის ოქტომბერში, უნგრეთის სახალხო აჯანყების დროს, „ჰონვედი“ იმყოფებოდა ესპანეთში, საიდანაც პუშკაში სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

ორი წლის განმავლობაში იგი დისკვალიფიცირებული იყო, 1958 წლიდან კი მადრიდის „რეალს“ დაუკავშირა თავისი სპორტული ბედი. „რა უნდა გითხრათ? ამ გუნდში თამაში რომ დავიწყე, 10 კილოგრამი მქონდა მომატებული“.

ასაკის მიუხედავად, პუშკაში „რეალის“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე და მადრიდელთა საყვარელი ფეხბურთელი გახდა. ბევრს წერდნენ დიდ სტეფანოსა და პუშკაშის განუმეორებელ დუეტზე. 1960 წელს გლაზგოს „ჰემპდენ-პარკზე“ 135 ათასი მაყურებელი დაესწრო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩს „რეალსა“ და მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტს“ შორის, რომელიც „რეალმა“ მოიგო ანგარიშით 7-3. პუშკაშმა 4 ბურთი გაიტანა, დი სტეფანომ კი — 3.

პუშკაშის აზრით, მადრიდის „რეალთან“ თამაში იმ ხანად საერთოდ შეუძლებელი იყო. „ისევე როგორც ქალების სილამაზე, ფეხბურთელთა დიდებაც რომ წარმავალია. რაღა დარჩა, ერთ მშვენიერ დღეს „რეალისაგან“? — დი სტეფანო ბარსელონას „ესპანიოლში“ გადავიდა, დიდი ბრაზილიაში დაბრუნდა, კოპა — საფრანგეთში, დომინგესი — ურუგვაიში, დელ სოლი „იუვენტუსის“ მოთამაშე გახდა, ვიდალი — როტერდამის „ფეიენოორდისა“. მე კი... მე კი მალე თავი დავანებე თამაშს“.

1967 წლიდან მოყოლებული პუშკაშმა ახალი პროფესია — მწვრთნელობა „მოირგო“. თავიდან სან-ფრანცისკოს „გოლესში“ მუშაობდა, შემდეგ — კანადის „ვანკუვერ როიალსში“. 4 წლის განმავლობაში ათენის „პანათინაიკოსს“ ხელმძღვანელობდა. ამ დროს მისმა ბერძნულმა გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალამდე მიაღწია. პუშკაშმა წარმატებით იმუშავა ესპანურ კლუბ „მერსიასთან“, სანტიაგოს „კოლო-კოლოსთან“ (ჩილე), შემდეგ კვლავ საბერძნეთში დაბრუნდა, აეკ-ის ჩაუდგა სათავეში. ეგვიპტეშიც სცადა ბედი — „პორტ საიდს“ წვრთნიდა, ერთხანს საუდის არაბეთის ნაკრებსაც ხელმძღვანელობდა. ბერძნული ფეხბურთის სამყაროსთან კონტაქტმა პუშკაშს ამ რამდენიმე წლის წინ თავი ამოაყოფინა... შორეულ ავსტრალიაში! საქმე ის არის, რომ ამ ქვეყნის პირველ ლიგაში გამოდის ერთ-ერთი წამყვანი კლუბი „მელბურნ ელას სოკერ კლაბი“, ანუ, უბრალოდ, „ელადა“, რომელიც ბერძენმა ემიგრანტებმა დააარსეს. აი, ამ გუნდის გაწვრთნა შესთავაზეს პუშკაშს, რომელსაც უნგრეთში როგორც ითქვა, „ცალფეხა მაიორს“ ეძახიან, გერმანელები უბრალოდ, — ფრანცს, ესპანელები — პანჩოს, დამცინავი ბერძნები კი — ღიპიანს.

— თითქმის ყველაფრით კმაყოფილი ვარ, — უთხრა მაშინ ავსტრალიაში პუშკაშმა ერთ-ერთ ჟურნალისტს, — გუნდი ახალგაზრდულია, არაერთი ნიჭიერი მოთამაშეც ჰყავს, ოთხი-ხუთი მათგანი ავსტრალიის ნაკრებშიც გამოდის. დირექტორატიც პატივისცემით მექცევა, მაგრამ...

ეს „მაგრამ“ გახლავთ ნოსტალგიის გრძნობა. დღე ისე არ გავიდოდა, რომ ვეტერანს მაგნიტოფონი არ ჩაერთო, უნგრული სიმღერები არ მოესმინა. „უნგრელი ბოშების სიმღერები მიყვარს. ესპანეთში რომ ძეხვის ფაბრიკას ვფლობდი, იმას რატომ არ აღნიშნავენ, რომ უნგრულ ძეხვს ვამზადებდით და მსოფლიოში განთქმული უნგრელი „პაპრიკას“ (წიწაკა) გემოც გავასინჯე ესპანელებს.

მას შემდეგ, რაც პუშკაშის სახელს უნგრეთში „ტაბუ“ მოუხსნეს, იგი პირველად დაბრუნდა სამშობლოში (25 წლის შემდეგ!) და ვეტერანთა მატჩში ითამაშა. მაყურებელი თვალნათლივ დარწმუნდა, რომ „ღიპიანმა“ შეიძლება ბევრი რამ დაკარგა, მარცხენათი უძლიერესი დარტყმის გარდა, რამაც მას თავის დროზე მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი.

ერთხანს პუშკაში უნგრეთის ეროვნულ ნაკრებსაც წვრთნიდა. გუნდს ამ ბოლო წლებში ვერც ერთმა სპეციალისტმა ვერაფერი მოუხერხა, და, რა თქმა უნდა, ამ მხრივ არც პუშკაში იყო გამონაკლისი. დიახ, არაფერი გამოდის...

— იცით რა?, — განაცხადა პუშკაშმა, — ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. რამდენ ხანს შეიძლება მწვრთნელად მუშაობა! ახლა, უბრალოდ, გულშემატკივარი ვარ!

ეს ყველაფერი ხომ ბუნებრივია. ფერენც პუშკაში არც ისე დიდი ხნის შემდეგ 75 წლისა გახდება. რა უზარმაზარი გზა გაიარა „ცალფეხა მაიორმა“, განუმეორებელმა ფეხბურთელმა და ჩინებულმა მწვრთნელმა!

**ბიჟი გამრეკელი**



*1954 წ. მსოფლიო ჩემპიონატი. გფრ — უნგრეთი. ნაკრებთა კაპიტნები ფინალური მატჩის წინ — ფრიც ვალტერი (თეთრ მაისურში) და ფერენც პუშკაში. უკანა პლანზეა მატჩის მთავარი მსაჯი ორლანდინი (იტალია).* ფოტოები „ლელოს“ არქივიდან

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### იგორ ზაზროევი დაითხოვეს

**იგორ ზაზროევი, თბილისის „დინამოს“ 50-იანი წლების ცნობილი თავდამსხმელის, ანდრო ზაზროევის ვაჟი, კარგა ხანს მუშაობდა ვლადიკავკაზის „ალანიას“ სათადარიგო შემადგენლობის მწვრთნელად.**

**ამ დღეებში მას მოუხდა ამ თანამდებობის დატოვება. ამის მიზეზი „ალანიას“ მთავარ მწვრთნელ ალექსანდრ იანოვსკისთან შეუთავსებლობაა.**

### მენდიეტას შემცვლელი გამონახეს

გაისკა მენდიეტას რომის „ლაციოში“ გადასვლის შემდეგ „ვალენსიამ“ გამონახა მისი შემცვლელი. „მალაგასაგან“ 14 მილიონ დოლარად შეიძინეს ურუგვაის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი გონსალო დე ლოს სანტოსი. მასთან „ვალენსიამ“ 6-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

### რონალდომ უნდა იფრთხილოს

**როგორც „ინტერის“ მთავარმა მწვრთნელმა, არგენტინელმა ექტორ რაულ კუპერმა განაცხადა, რონალდომ ჯერჯერობით სრული დატვირთვით არ უნდა ივარჯიშოს, ძველი ტრავმის რეციდივი არ გაჩნდეს.**

**ბრაზილიელმა ვარსკვლავმა, როგორც ცნობილია, მძიმე ტრავმა მიიღო იტალიის თასის ფინალურ მატჩში „ლაციოს“ წინააღმდეგ, რის შემდეგ გააცდინა 16 (!) თვე და მხოლოდ ახლახან განაახლა მონაწილეობა ამხანაგურ მატჩებში.**

### კონტრაქტები გააგრძელეს

მადრიდის „რეალის“ სამმა ფეხბურთელმა: მეკარე იკერ კასილიასმა, მცველმა ფერნანდო იერომ და თავდამსხმელმა ფერნანდო მორიენტესმა მცირე ყოყმანის შემდეგ გააგრძელეს კონტრაქტები კლუბთან.

გუნდის კაპიტანმა, 32 წლის იერომ ორი წლით გააგრძელა ხელშეკრულება. რაც შეეხება მორიენტესსა და კასილიასს, მათი კონტრაქტი 2006 წლის 30 ივნისს მთავრდება.

ოდნავ ადრე კონტრაქტი გააგრძელა ივან ელგერამ, აიტორ კარანკა კი ჯერჯერობით ფიქრობს, დარჩეს თუ არა „რეალში“.



### როცა ფრანგმა ფრანგი შეავიწროვა

**როგორც უკვე ვიუწყებოდით, 33 წლის ცენტრალური მცველი ფრანკ ლებეფი ლონდონის „ჩელსიდან“ მარსელის „ოლიმპიკში“ გადავიდა (1,7 მილიონ დოლარად) მას შემდეგ, რაც „არისტოკრატთა კლუბის“ ხელმძღვანელობამ მას ძირითად შემადგენლობაში ადგილის გარანტია არ მისცა.**

**ახლა ლებეფს ლონდონის კლუბში იმავე მრსელიდან გადასული გალასი შეცვლის. ამავე პოზიციაზე პრეტენზია აქვს ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტან ტერის.**

### ხორვატია ეძებს პარტნიორს

ხორვატია აპირებს ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის ჩატარებას ფეხბურთში. თავდაპირველად იგი აპირებდა ეს უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად გაეკეთებინა. ახლა ხორვატებმა უნგრელებთან, ეტყობა, საერთო ენა ვერ გამონახეს და პარტნიორებად სლოვენიასა და სლოვაკიას ასახელებენ.

# ადგილები კი გამოუყვეს, მაგრამ...

როგორც ფიდეს. მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, მსოფლიოს. მომავალ ჩემპიონატში ვაჟთა შორის ნოკაუტ-სისტემით, რომელიც გვიან შემოდგომაზე უნდა ჩატარდეს, პერსონალური ადგილები გამოუყვეს მსოფლიოს ახლანდელ ჩემპიონს „ინტელექტუალური თამაშების ასოციაციის“ ვერსიით ვლადიმირ კრამნიკს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონებს გარი კასპაროვსა და ანატოლი კარპოვს. ეს ასეა, მაგრამ ცნობილია, რომ კრამნიკი და კასპაროვი საერთოდ არა ცნობენ ფიდეს, და არც კარპოვის პოზიცაა სავსებით ნათელი...

უარის შემთხვევაში, ფიდეს ამ გამოთავისუფლებული ადგილების შესახებ რაიმე ახალი დადგენილების გამოტანა მოუხდება.

მსოფლიო ჩემპიონატში ნოკაუტ-სისტემით სამი ქართველი მონაწილეობს. ზურაბ აზმაიფარაშვილს ეს უფლება ადრინდელი წარმატებისათვის პერსონალურად მიენიჭა. ესეც რომ არა ყოფილიყო, იგი მიმომხილველთა ერთიანი აღიარებით, როგორც ჟურნალი „64“ იუწყება, ევროპის პირველობაზე (სადაც მეტისმეტად ძლიერად თამაშობდა და მესამე ადგილი დაიკავა) აშკარად გამოირჩეოდა. რაც შეეხება ქუთაისელ საერთაშორისო ოსტატ ხვიჩა სუპატაშვილს, მან საგზური ბათუმში შავიზღვისპირეთის ქვეყნების ჩემპიონატში მშვენიერი თამაშით მოიპოვა, ისევე, როგორც ახალგაზრდა მოსკოველმა დიდოსტატმა მიხეილ ქობალიამ ევროპის პირველობაზე. ისიც ვთქვათ, რომ ქობალია მსოფლიო პირველობაზე შარშანაც თამაშობდა ნიუ-დელიში.

# კაპაბლანკას მემორიალზე

ხოსე რაულ კაპაბლანკას ტრადიციული, რიგით 36-ე მემორიალი ჰავანაში გაიმართა და მას ფიდეს XIII კატეგორია მიენიჭა. ასეთი მაღალი კატეგორია მან ცნობილი შვედი დიდოსტატის ულფ ანდერსონის მონაწილეობის გამო მიიღო, რომლის რეიტინგი 2640 გახლავთ.

ანდერსონი საერთოდ არ არის მებრძოლი მოთამაშე, თუმცა თვითონაც პრაქტიკულად არ აგებს. ამჯერად მან მხოლოდ ერთი პარტია მოიგო, დანარჩენი 11 კი ყაიმით დაასრულა. 6,5 ქულა მას მხოლოდ მე-3-5 ადგილების გასაყოფად ეყო.

პირველ ადგილზე 8,5 ქულით გავიდა ახალგაზრდა ნიჭიერი ესპანელი დიდოსტატი ფრანსისკო ვალიეხო, 7 ქულით მეორე იყო ირლანდიელი ჰანეს სტეფანსონი.

# საგზურები აზიელებს

მანილაში (ფილიპინები) ჩატარდა ვაჟთა მსოფლიო პირველობის მესამე აზიური ზონის მეორე A ქვეჯგუფის შესარჩევი ტურნირი, სადაც ჩემპიონატის ორი საგზური გათამაშდა. 10 მოჭადრაკე წრიული სისტემით ეჯიბრებოდა ერთმანეთს.

პირველ ადგილზე 7 ქულით გავიდა ნგუენ ან დუნგი (ვიეტნამი). რახან მეორე-მესამე ადგილები 6,5-6,5 ქულით დაო ტიენ ხომ (ვიეტნამი) და უდუტ ადიონტომ (ინდონეზია) გაიყვეს, მათ შორის დამატებითი მატჩი დაინიშნა, რომელიც ახალგაზრდა ვიეტნამელმა მოიგო. მესამე ზონის B ქვეჯგუფის ერთი საგზურისთვის ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მოჭადრაკეები იბრძოდნენ. 9 შესაძლებლიდან 7-7 ქულა მოაგროვეს ავსტრალიელებმა, საერთაშორისო ოსტატმა მიხაილ გლუზმანმა და ფიდეს ოსტატმა მარკ ჩეპმენმა. დამატებითი შეჯიბრება გლუზმანმა მოიგო.

# ჯემალ მანელიშვილი



მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი ფალავანი და სპორტის მოღვაწე, აჭარის სპორტის დამსახურებული მუშაკი, ჯემალ სულეიმანის ძე მანელიშვილი.

დაიბადა 1928 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში. ჯემალ მანელიშვილი თავის დროზე დიდხანს იცავდა საქართველოსა და აჭარის სპორტულ ღირსებას საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში. იყო სსრკ-ს სამგზის ჩემპიონი სოფლის სპორტსმენთა შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მძიმე წონაში, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი. მაღალი სპორტული მაჩვენებლებისათვის 1957 წელს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება. სპორტში გამოსვლების დამთავრების შემდეგ, 30 წელზე მეტი მუშაობდა ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში ფიზიკური აღზრდის მეთოდისტად, რომლის ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი საუკეთესო იყო აჭარაში, მთელ საქართველოში და საკავშირო მასშტაბებითაც. 1987 წელს მისი უშუალო ინიციატივით პროფკავშირთა საკავშირო სპორტსაზოგადოებამ სოფელ ბობოყვათში გახსნა ჭიდაობის სპორტული სკოლა, რომლის პირველ დირექტორადაც ის დაინიშნა. აქ მან გამოამჟღავნა ხელმძღვანელის ორგანიზატორული ნიჭი. მის სკოლაში აღიზარდნენ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში აჭარისა და საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები. ქობულეთის ლელობურთელთა ნაკრები გუნდი დაკომპლექტებული იყო ბობოყვათელი სპორტსმენებით, აჭარისა და საქართველოს ჩემპიონი იყო. გუნდსაც თავად თავკაცობდა.

ჯემალ მანელიშვილი დიდ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. წლების მანძილზე იყო აჭარის ჭიდაობის სახეობათა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, ეროვნული კატეგორიის მსაჯი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

თავმდაბალი, კეთილსინდისიერი ადამიანი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოს სპორტულ საზოგადოებრიობაში. დაჯილდოებული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით, საქართველოს ღირსების მედლით, აჭარისა და საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტების და საკავშირო სოფლის სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელებით.

ჯემალ მანელიშვილის სახით ახლობლებმა, ნათესავებმა, მეგობრებმა, სპორტულმა საზოგადოებრიობამ დაკარგა ჩინებული კაცი და სამაგალითო პიროვნება, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს გაუძლებს ჟამთა სვლას.

აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი,
აჭარის ჭიდაობის სახეობათა ფედერაცია

# გულადი პაპიძე



მოულოდნელად გარდაიცვალა ჭიათურისა და ქართული სპორტის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი გულადი პაპიძე.

დაიბადა 1952 წელს ჭიათურის სოფელ უსახელოში. სკოლის პერიოდშივე ეზიარა სპორტს და არჩევანი ძალოსნობაზე შეაჩერა, წარმატებით ასპარეზობდა რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. საშუალო სკოლის შემდეგ, 1975 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტი, რის შემდეგ მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა. გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური, მუშაობდა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ. 1978 წელს კი დაინიშნა ჭიათურის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ, სადაც 16 წლის მოღვაწეობის მანძილზე გამოავლინა მაღალი პროფესიონალიზმი და უნარიანი ხელმძღვანელის თვისებები. ამ პერიოდში ქალაქის ნაკრები გუნდები წარმატებით გამოდიოდნენ სხვადასხვა შეჯიბრებაში, წარმოჩნდნენ ნიჭიერი სპორტსმენები.

გულადი პაპიძე 1995 წელს დაინიშნა ჭიათურის რაიონის სპორტული ბაზების გაერთიანების უფროსად, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა.

გულადი პაპიძის ხსოვნა მარად დარჩება ჭიათურისა და რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა და ყველა იმ ადამიანთა მოგონებაში, ვინც მასთან მუშაობდა, მეგობრობდა და იცნობდა. თავისი სიცოცხლის მოკლე მანძილზე გულადი პაპიძემ კაცურად იცხოვრა, სიკეთე და სითბო დაუტოვა ყველას, იცხოვრა სამაგალითოდ, ილვაწა სამაგალითოდ და სამაგალითო სახელითაც წავიდა ამქვეყნიდან.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო
დეპარტამენტი,
ჭიათურის სპორტკომიტეტი




# შიროვი დაქორწინდა

29 წლის ცნობილმა მოჭადრაკემ ალექსეი შიროვმა ცოლად შეირთო ლიტველი ვიქტორია კმილიტე, რომელიც მსოფლიო რეიტინგს ლიდერობს გოგონათა შორის. წყვილმა ქორწილი გადაიხადა პატარძლის მშობლიურ ქალაქ – შაულიაეში.

კმილიტე დიდოსტატი გახდა 15 წლისა. ახალდაქორწინებულები „თაფლობის“ თვეს გაატარებენ იტალიაში.

# ნიკი ლაუდა თვლის, რომ ფორმულა-1 მოსაწყენი გახდა

„იაგუარის“ მეთაური, ცნობილი ვეტერანი მრბოლი ნიკი ლაუდა თვლის, რომ ფორმულა – 1-ის პოპულარობა შეიძლება მნიშვნელოვნად დაეცეს თუ მოქმედი წესები არ შეიცვალა. „სიმართლე გითხრათ, მიკვირს რატომ უყურებს ფორმულა-1-ს ხალხი. ზოგიერთი რბოლა, რომელიც მე ვნახე, იმდენად მოსაწყენი იყო, რომ გაოცებული დავრჩი, რატომ არის რბოლის ტელეტრანსლაციები ასე პოპულარული“ – განუცხადა ლაუდამ ჟურნალისტებს.

რას იზამ, გამოცდილი მრბოლის თვალი მაინც სულ სხვაა...

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**10 აგვისტო, პარასკევი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* საფეხბურთო მიმოხილვა (19.25), ევრიკა. მსოფლიო სპორტი (10.45, 20.00), *PTP*. მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (1.40). *ESPN*. ფეხბურთი. მსოფლიო თასი. მიმოხილვა (12.30). *EUROSPORT*. მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (4.00). ფეხბურთი. უეფა-ს თასი (20.00), ცხენოსნობა. „სამსუნგის“ თასი (21.30), სპორტის სიახლენი (2.00, 4.15), ფეხბურთი. ერთი მსოფლიო – ერთი თასი (3.15). *НТВ плюс футбол*. მსოფლიო ფეხბურთი (14.15), განვლილი სეზონი. ჰოლანდიის ჩემპიონატი (14.45), ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი, 2000-2001. „დეპორტივო“ – „ლიდსი“ (16.40), ესპანეთის ჩემპიონატი (21.40), ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. „ვალენსია“ – „არსენალი“ (23.40). *НТВ плюс спорт*. მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (4.55, 16.00). მხატვრული ტანვარჯიში. საერთაშორისო შეჯიბრება (11.40). „ბილიარდის მეფეები“ (22.20), ტაილანდური კრივი (0.00).

**11 აგვისტო, შაბათი**

*PTP*. მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (1.25), *ESPN*. ფეხბურთი. უმაღლესი ლიგა. ყველა ვარსკვლავი (08.00). *EUROSPORT*. მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (6.00, 20.30). ცხენოსნობა. „სამსუნგის“ თასი (15.30). მეკლდეურობა. მსოფლიო თასი (16.30). *НТВ плюс футбол*. განვლილი სეზონი: ესპანეთის ჩემპიონატი „რეალი“ – „ბარსელონა“ (13.15), ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი „ვალენსია“ – „არსენალი“ (15.30). „რეალი“ – „გალათასარაი“ (23.00). მექსიკის საფეხბურთო გეოგრაფია (17.25, 0.45), გერმანიის ჩემპიონატი (18.25). *НТВ плюс спорт*. მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (6.10, 18.55, 22.10, 1.10), თანამედროვე ხუთჭიდი. მსოფლიო თასი (12.25, 17.25, 19.55), ტაილანდური კრივი (0.00).

**12 აგვისტო, კვირა**

*ESPN*. ფეხბურთი. მსოფლიო თასი. მიმოხილვა (07.00). *EUROSPORT*. მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 19.00, 0.15). მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (16.00), სპორტის სიახლენი (1.15). *НТВ плюс футбол*. გერმანიის ჩემპიონატი (17.25), ჩემპიონთა ლიგა 2000-2001. მეოთხედფინალები. „რეალი“ – „გალათასარაი“ (17.25), „ბავარია“ – „მანჩესტერ იუნაიტედი“ (23.45). მსოფლიო ფეხბურთი (19.45), მექსიკის საფეხბურთო გეოგრაფია (22.35). *НТВ плюс спорт*. თანამედროვე ხუთჭიდი. მსოფლიო თასი. ფინალი (22.20), მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (16.30, 1.10). მარათონი, ქალები. მსოფლიო ჩემპიონატი (20.05).

# 5 წელია ყველას უგებს

ახლო წარსულში უძლიერესი ჩოგბურთელი ჯონ მაკინროი (აშშ), მას შემდეგ, რაც უმაღლეს დონეზე გამოსვლები ასაკის გამო შეუძლებლად ჩათვალა, ვეტერანთა ლიგაში გადაბარგდა, სადაც სერიოზული მეტოქეები არა ჰყავს.

ამას წინათ ჩიკაგოში ვეტერანთა ტურნირის ნახევარფინალში მან შვედ მიკაელ პერნფორსს მოუგო, ხოლო ფინალში ირანელ მანსურ ბაჰრამის – 6:3, 6:4. საინტერესოა, რომ მანამდე ბაჰრამიმ განთქმული ფრანგი იანიკ ნოა დაამარცხა. – უკვე 5 წელია ყველას ვუგებ, მინდა, რომ ახალი სახეები გამოჩნდნენ და მეტი წინააღმდეგობა გამიწიონ.

# კროსვორდი №62



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 3. ესპანეთის საფეხბ. კლუბი, 7. დედნის პირი ან... 10. უბანი თბილისში, სადაც იპოდრომია გაშენებული, 11. მწუხრი, კაეშანი... 13. სახელმწიფო ან სხვა პირის საჭირო საუბარი შეკრებილ ჟურნალისტებთან, 14. მოხეტიალე ცირკი, 15. ვეტერანი ინგლისელი ფეხბურთელი, 16. სარწმუნოების მიმდინარეობა, 19. ერთი კილოგრამი სითხე, 21. „ჩელსის“ იტალიელი ფეხბურთელი, 22. რთული ორგანო ნივთიერება, რომლითაც მდიდარია საკვები, 23. შოტლანდიის საფეხ. კლუბი, 24. სპორტნაწარმის გერმანული ფირმა,

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. სიდნეიში ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ძიუდოში, 2. ნორვეგიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 4. ნორმიდან გადახრა შემცირებისაკენ, 5. ინგლისელი ფეხბურთელი. 6. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 8. ბურთით თამაში ძირითადად გავრცელებულია აშშ-ში და ინგლისში, დანერგილია საქართველოშიც, 9. ხეობა საქართველოში, ჩრდილოეთის საზღვარზე. 12. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, სადაც ქართველებიც თამაშობენ, 17. საფრანგეთის I დივიზიონის საფეხბ. გუნდი, 18 მადრიდის „რეალის“ და ესპანეთის საფეხბ. ნაკრების მცველი, 20. ცნობილი მძიმეწონოსანი პროფესიონალი მოკრივე წარსულში, მუჰამედ...

## კროსვორდი №61 ● პასუხები:

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 6. ფორა, 7. პარტია. 8. გოლი. 10. „ლეჩე“, 11. კლუივერტი, 12. კოსტა, 14. ჩუი, 15. ფალსტარტი, 19. გდება, 22. ხაყალია, 23. აზარიანი, 24. ილი. ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. სტოიჩკოვი, 2. „ოფი“, 3. ტრიალი, 4. სტარტი, 5. კანი, 9. ნეიძე, 13. ოტელი, 14. ჩოგანი, 16. ტრასა, 17. „მარაო“, 18. ლახტი, 20. ენეი, 21. პია.

# საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ეg6! f1ლ 2. ლd2X.
1. ...f18 2. ეg2X.
1. ...მფf1 2. ლd1X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 43 97. ინდექსი 66435 INDEX ● „ლელოს“ კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.